ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ცხინვალმა სერბეთთან თანამშრომლობას მოაწერა ხელი



გვ.3

რაზე მოილაპარაკეს ანატოლი ბიბილოვმა და მილორად დოდიკმა

9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




პარასკევი, 12 იანვარი, 2018 №9 (7554) ფასი: 50 თეთრი

# მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მე ვთხოვ სახელმწიფოს, მკვლელი გაასამართლოს და მისი სახე დამანახოს“



გვ.2

## „26 დეკემბერს პანკისში სადამსჯელო ოპერაცია ჩატარდა“



## თორნიკე შარაშენიძე: „უარესს გადავურჩით, მაგრამ ცუდს მაინც ვერ ავცდით“

„ჩატაევმა თავი აიფეთქა და კომპიუტერი დატოვა ინფორმაციით სავსე?!“



გვ.3

## დავით ზურაბიშვილი: „ხელისუფლების ნათქვამი ოპოზიციაზე სააკაშვილის ნათქვამს ჰგავს“



გვ.4

## რა კითხვები აქვთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ოპოზიციას თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე



გვ.4

## მამუკა ტუსკაძე: „თიანეთის საკრებულო ზაქარია ქუცნაშვილის დავალებით საბოტაჟს აწყობს“



გვ.5

## სამართალი

გვ.7



### რუსთავში ახალგაზრდა მამაკაცმა თვითმკვლელობის მიზნით ვენები გადაიჭრა

### ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს





უაქციზო სასმელების შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე 1 პირი დააკავეს



### აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ლევან მაისურაძემ თანამდებობა დატოვა

## ეკონომიკა

გვ.6

### გამომცემლობა „სამშობლოს“ ყოფილ შენობაში სასტუმრო „სტამბა“ იანვრის ბოლოს გაიხსნება





### ფაროსანასთან ბრძოლა ქართულად

### „სადაზღვევო სექტორი საინტერესო ხდება“



### საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 43,4%-ით გაიზარდა



ISSN 1987-9385

4 აკაკი გოგიჩაიშვილი: „რეალიზებისთვის მეტი არეალი მჭირდება“

5 ირანის გეგმები საქართველოში

თეირანისთვის კავკასია პრიორიტეტული ხდება?

4 ნემცოვის სახელობის ქუჩა ვაშინგტონში და რეაქცია რუსეთში

5 FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი 2017 წელს 8.2%-ით გაიზარდა

# მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მე ვთხოვ სახელმწიფოს, მკვლელი გაასამართლოს და მისი სახე დამანახოს“

## „26 დეკემბერს პანკისში სადამსჯელო ოპერაცია ჩატარდა“

შორენა მარსაგიშვილი

19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი გუშინ, 11 იანვარს, მშობლიურ დუისში დაკრძალეს. ხელისუფლების მოწოდებების მიუხედავად, ახალგაზრდის გარდაცვალებას მაინც მოჰყვა პოლიტიკური შეფასებები.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მაჩალიკაშვილის გარდაცვალების შემდეგ პანკისში შესაძლოა სიტუაცია დაიძაბოს. 26 დეკემბრის სპეცოპერაციის შემდეგ აქ ვითარება ისედაც დაძაბულია.

პანკისის ხეობაში 19 წლის ახალგაზრდის დაკრძალვაზე მისულები აცხადებდნენ, რომ სუსმა არა ანტიტერორისტული, არამედ სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა.

ადგილობრივები ხელისუფლებისგან საქმის დროულ გამოძიებასა და დამნაშავის დასჯას მოითხოვენ:

– ჩადენილია დანაშაული, დანაშაული იმისა, რომ გასროლა არ იყო ადეკვატური. გამორიცხულია, რომ თემირლან მაჩალიკაშვილს ხელყუმბარა აეფეთქებინა საკუთარ ოჯახში, სადაც მისი მშობლები და ბებია იმყოფებოდნენ. ეს იყო სადამსჯელო და არა ანტიტერორისტული ოპერაცია. ტერორიზმთან ბრძოლის ლოზუნგით თვითონ ხელისუფლება არ გადაიქცეს ტერორისტად! – განუცხადეს ჟურნალისტებს პანკისელებმა.

საქმის სასწრაფოდ გამოძიებას ითხოვს გარდაცვლილი მამაც. ის გამოძიებას, როგორც თავად ამბობს, ჯერ კიდევ ენდობა.

– მიწიდან ამოვთხრი. იმას ნუ გააკეთებენ, რომ ოჯახიანად ამოვწყვიტო. მე ვთხოვ სახელმწიფოს, გაასამართლოს და მკვლელის სახე დამანახოს. ამ დროისათვის გამოძიებას ნდობას ვუცხადებ, ხოლო ეს ნდობა თუ არ გაამართლა, ალბათ სხვანაირად მოვიქცევი, – ამბობს მალხაზ მაჩალიკაშვილი.

მაჩალიკაშვილის ოჯახის ადვოკატ ცირა ჯავახიშვილის განცხადებით, თემირლანის გარდაცვალების შემდეგ მთავარმა პროკურატურამ, რომელიც გამოძიებას ატარებს, ის დაზარალებულად ავტომატურად უნდა ცნოს. საქმეში კი უფლებამოსილი პირი თემირლანის მამა მალხაზ მაჩალიკაშვილი იქნება.

ადვოკატი „პირველ რადიოსთან“ საუბარში აცხადებს, რომ არც ოჯახსა და არც ადგილობრივებს არ აქვთ იმის მოლოდინი, რომ ობიექტური გამოძიება ჩატარდება.

ჯავახიშვილის განცხადებით, საქართველოში არ მოიძებნება უწყება, რომელიც გომელაურის უწყების დანაშაულს გამოააშკარავებს და პასუხისმგებლობას დააკისრებს, რადგან, ჯავახიშვილის თქმით, მთელი საქართველო გომელაურს ემორჩილება.

– გამოძიების ობიექტურობის იმედი არავის აქვს, რადგან მთელი საქართველო ემორჩილება გომელაურს. გომელაური ნიშნავს პარლამენტის წევრებს და არავინ მითხრას, რომ ასე არ არის. ,,ოცნების“ თითოეული წევრი, რომელიც პარლამენტში გავიდა, გომელაურის შერჩეულია. გომელაურის უწყების ჩატარებული სპეცოპერაციაა, რომელსაც ემსხვერპლა უდანაშაულო ადამიანი. რომელი საგამოძიებო უწყება შეძლებს, გაუწიოს წინააღმდეგობა გომელაურს? ამ სიტუაციიდან გამოსავალი მხოლოდ სტრასბურის სასამართლოა, – ამბობს ცირა ჯავახიშვილი.

შექმნილი ვითარება მას სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდს აგონებს.

– 9-წლიანი რეჟიმის დროსაც ასე იყო – ქუჩაში ხოცავდნენ, სახლში უცვივდებოდნენ. გამართლება იყო ასეთი: მოკლული ან კრიმინალურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული, ან ტერორისტებთან. ისინიც ასევე ამართლებდნენ ჩადენილ დანაშაულს.. ისინიც ასევე ამართლებდნენ გადაცდომებს. ესენიც ასე არიან. პასუხისმგებელი პირის ნდობის საკითხი არც მაშინ დამდგარა და არც ახლა დადგება, – განაცხადა ადვოკატმა.



მაჩალიკაშვილების მეორე ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი მიიჩნევს, რომ საქმეში ხელყუმბარა ჩადებულია. მისი თქმით, აუცილებლად უნდა მოხდეს მუხლის გადაკვალიფიცირება.

– ძალიან ბევრი მტკიცებულება გვაქვს, რომ მას სპეცოპერაციის დროს ხელყუმბარა არ ჰქონია. ერთ-ერთი არის სპეცოპერაციამდე რამდენიმე წამით ადრე გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება. წამიერად არის მომხდარი კარის შენგრევა და სროლა. იგი ვერ მოასწრებდა ფიზიკურად სხვა მოქმედებას. სპეცრაზმელმა სიბნელეში დაინახა ტელეფონიდან წამოსული სინათლე და ამაზე მოახდინა რეაგირება.

თვითმხილველი არავინ არის. პირველ სართულზე დაკავებული იყვნენ დედა და მამა. სპეცრაზმელები არ ელოდნენ, რომ გვერდით ოთახში იყო მისი და. რამდენიმე საათის შემდგომ შეიყვანეს მისი მამა ოთახში და მან ნახა, რომ ყველაფერი სისხლით იყო მოსვრილი, გარდა იმ ხელყუმბარისა, რომელიც ოთახში იყო დადებული. იმისთვის, რომ ჩადენილი დანაშაული გაემართლებინათ, მათ თავისუფლად ჩადეს საქმეში ეს ხელყუმბარა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კუბლაშვილმა.

მისთვის ჯერ უცნობია, რა ეტაპზეა გამოძიება. ერთ რამეში კი დარწმუნებულია – საქმის გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით უნდა გაგრძელდეს.

– ზუსტად რა ეტაპზეა გამოძიება, არ მაქვს პასუხი. მასალებს პირადად არ გავცნობივარ. მოვითხოვეთ უკვე, რომ უშუალოდ თემირლან მაჩალიკაშვილისთვის მიენიჭებინათ დაზარალებულის სტატუსი, თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგ მოგვიწევს განცხადების შეცვლა და დედის ან მამის დაზარალებულად ცნობის მოთხოვნა. გამოძიება მიმდინარეობს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, თუმცა ჩვენ ვითხოვთ, რომ მოხდეს მისი გადაკვალიფიცირება და გამოძიება გაგრძელდეს 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით. არსებული მტკიცებულებების შეფასებით, პირდაპირ ვლინდება განზრახ დანაშაული, – მიიჩნევს მაჩალიკაშვილების ადვოკატი.

* * *

პანკისში ჩატარებულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით კითხვები აქვთ არასამთავრობოებს. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ გუშინ, 11 იანვარს, თბილისში პანკისის მხარდამჭერი აქცია გამართა.

როგორც აქციის ორგანიზატორები აცხადებენ, ამ საქმეში ჩნდება დასაბუთებული ეჭვები ლეტალური ძალის გამოყენების აუცილებლობასთან და თანაზომიერებასთან დაკავშირებით.

მათი განცხადებით, საქმეში იკვეთება სახელმწიფოს, როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური პასუხისმგებლობა.

– შემთხვევის ადგილზე გადაღებული ვიზუალური მასალა, ასევე ოჯახის წევრების ახსნა-განმარტებები აჩენს ეჭვებს, რომ სპეცრაზმმა თემირლან მაჩალიკაშვილს მის ბნელ ოთახში შეჭრისთანავე მყისიერად გაფრთხილების გარეშე ლოგინშივე ესროლა. პრობლემურია დაჭრილისთვის დაგვიანებული სამედიცინო დახმარების გაწევის საკითხიც. მაშინ, როდესაც თემირლან მაჩალიკაშვილს ჯერ ბრალდებულის სტატუსიც კი არ აქვს მინიჭებული, ვიდეომასალის გავრცელებით სახელმწიფო საჯაროდ ცდილობს მისი ბრალეულობის მტკიცებასა და დისკრედიტაციას. ამ გზით სახელმწიფო ახდენს საკუთარი ბრალეულობის გადაფარვასა და მსხვერპლის ტერორისტად გამოცხადებით მის დეჰუმანიზებას.

წლების განმავლობაში პანკისის ხეობა სახელმწიფოსთვის საგანგებო მდგომარეობის სივრცედ გადაიქცა და ჩვენს პანკისელ თანამოქალაქეებს მუდმივი საფრთხის, ზეწოლისა და უპერსპექტივობის პირობებში უწევთ ცხოვრება. პანკისის ხეობაში მცხოვრები ადამიანების პოლიტიკური და სოციალური გარიყულობის დაძლევისთვის აუცილებელი სისტემური სოციალური ცვლილებების ნაცვლად სახელმწიფო არსებითად მხოლოდ რეპრესიულ და სადამსჯელო ინსტრუმენტებს იყენებს. პანკისის საგანგებო სივრცედ წარმოჩენა სახელმწიფოს „ლეგიტიმური“ ძალადობისა და კონტროლის დამყარებისა და ამით საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების შესაძლებლობას აძლევს. პანკისის ხეობაში მხოლოდ სპეცოპერაციისა და კონტროლის სტრატეგიით მოქმედი სახელმწიფო ადგილობრივი მოსახლეობის გარიყულობას აძლიერებს და ართულებს სოციალური სამართლიანობისა და სტაბილურობის მიღწევას, – აცხადებენ აქციის ორგანიზატორები.



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი მიიჩნევს, რომ ანტიტერორისტულ თემაზე საუბრისას მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენაა აუცილებელი.

– მინდა გამოვეხმაურო სხვადასხვა ჯგუფისა თუ პირის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომელიც ანტიტერორისტულ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით ვრცელდება და საკითხის ეთნიკურ ჭრილში გადატანის ან პოლიტიკური ქულების მიღების მცდელობას უკავშირდება. მსგავსი ტიპის ოპერაციებს არ აქვს და ვერ ექნება ეთნიკური მოტივაცია. ამიტომ მინდა მოვუწოდო მათ, რომ აღნიშნულ თემაზე საუბრისას გამოიჩინონ მეტი პასუხისმგებლობა.

ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც სახელმწიფოს მოვალეობაა და ხორციელდება კიდეც, თითოეული ჩვენი მოქალაქის უსაფრთხოებას ეხება. პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტი მოსახლეობა ამ ქვეყნის ღირსეული და პატრიოტი მოქალაქეები არიან. დარწმუნებული ვარ, რომ პირველ რიგში მათ არ სურთ არანაირი პროვოკაცია და დაპირისპირება, – აღნიშნა ციხელაშვილმა.

მისი თქმით, ხელისუფლებას პანკისის ხეობის მიმართ შემუშავებული აქვს პოლიტიკა, რომელიც მის განვითარებას გულისხმობს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პრემიერმა სამძიმარი გამოუცხადა თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახს.

მთავრობის სხდომაზე მან ტერორიზმთან დაკავშირებულ საფრთხეებზეც ილაპარაკა და თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციაც გაიხსენა, რომლის დროსაც 1 სპეცრაზმელი დაიღუპა.

– ტერორიზმი არის გამოწვევა მთელი მსოფლიოსთვის და ჩვენი სახელმწიფოც აკეთებს ყველაფერს ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად. რა თქმა უნდა, როდესაც ამ გამოწვევასთან საკუთარ ქვეყანაში გიწევს ბრძოლა, მით უფრო, როდესაც საკითხი ეხება ჩვენს მოქალაქეებს, არის ძალიან მგრძნობიარე და საფრთხილო. ჩვენმა სპეცსამსახურებმა ჩაატარეს რამდენიმე სპეცოპერაცია და სწორედ ტერორისტული საფრთხეების აცილებას ეხებოდა თითოეული მათგანი. ამ ოპერაციებს შეეწირა ჩვენი სპეცსამსახურების ერთი თანამშრომელი, დაგვეჭრა ოთხი. ეს ბიჭები საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავდნენ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას.

მინდა, ცალსახად განვაცხადო, პირველ რიგში სწორედ ხელისუფლების ინტერესია, რომ პროკურატურის ობიექტურმა და ეფექტიანმა გამოძიებამ საზოგადოებაში არსებულ ყველა შეკითხვას მაქსიმალურად მოკლე დროში გასცეს პასუხები, ამიტომაც დღეს ამ ვითარებაში წინასწარი განცხადებებისა თუ დასკვნების გაკეთება აზიანებს სახელმწიფო ინტერესებს. სამწუხაროა, რომ ვერ მოხერხდა სპეცოპერაციის დროს დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილის გადარჩენა, თუმცა სახელმწიფომ და ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად. რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს გამოძიება, მე მინდა, მივუსამძიმრო მის ოჯახს, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

გამოძიების დასრულებას ელოდებიან საპარლამენტო უმრავლესობაშიც. დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს, რომ რადგან გამოძიება დაიწყო, კითხვებიც არსებობს.

– გამოძიება არ დაიწყებოდა, კითხვები რომ არ არსებობდეს. მის შედეგებზე იქნება დამოკიდებული პასუხები. მთელი საზოგადოება ვთანხმდებით, რომ კითხვები არსებობს. სწორედ ამის გამო დაიწყო გამოძიება და კითხვებზე პასუხი უნდა გასცეს ამ პროცესმა, ჰქონდა თუ არა იარაღის გამოყენების აუცილებლობას ადგილი, სწორად იყო თუ არა ძალა გამოყენებული, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

კითხვაზე, შეიძლება თუ არა, რომ ეს საქმე სტრასბურის სასამართლომდე მივიდეს, ქუცნაშვილმა განაცხადა, რომ მოქალაქეების უფლებაა, დაიცვან თავიანთი უფლებები.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „უარესს გადავრჩით, მაგრამ ცუდს მაინც ვერ ავცდით“

## „ჩატაევმა თავი აიფეთქა და კომპიუტერი დატოვა ინფორმაციით სავსე?!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საერთაშორისო საკითხების ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, როდესაც ტერორიზმსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრობენ, ხელისუფლება ოპოზიციასა და საზოგადოების ნაწილს საყვედურობს, რომ არ კეთდება სწორი აქცენტები, მავანი ამ თემით სპეკულირებს და ქულების დაწერას ცდილობს. რას იტყვით თქვენ, რამდენად სახიფათოა სიტუაცია?***

– ხელისუფლებას ერთი რამე არ ესმის – როცა მსგავს ოპერაციას ატარებ, ისეთს, როგორიც პანკისში ჩატარდა, გასაგებია, რომ ყველაფერს ვერ მოყვები, რა გააკეთე, მაგრამ, საზოგადოებას ანგარიშს რომ ჩააბარებ, ისე უნდა ჩააბარო, რომ ხალხმა დაიჯეროს, რასაც უყვები. ისეთი სასწაულები არ უნდა ილაპარაკო, რომ არავინ დაიჯეროს. როცა მერე ვიღაცებს საყვედურობენ, პოლიტიკური სპეკულაციებისთვის იყენებო, კარგით, რა?!

***– ოპოზიცია ამას ყოველთვის გააკეთებს?***

– არ გახსოვთ, 2012-ში ლაფანყურში სპეცოპერაცია რომ ჩატარდა, ამაზე რამდენი თეორია და ბრალდება მოვისმინეთ, რომ ჩახოცეს უდანაშაულო ბიჭები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ნუ უკვირთ. ეს არის თამაშის წესები პოლიტიკაში. ეს თამაშის წესები თვითონაც დააწესეს ოდესღაც და ახლა ითამაშონ ამ წესებით ჭკვიანურად. ეს უკვე მათი პრობლემაა. თუ ვერ იგონებენ დამაჯერებელ ვერსიებს, ესეც მათი პრობლემაა. ახლა თავის შეცოდება, რომ ვაიმე, თქვენი ჭირიმე, არ გამოიყენოთ პოლიტიკური სპეკულაციისთვის, რატომ არ უნდა გამოიყენოს ოპოზიციამ, აბა, ოპოზიცია სხვას რას აკეთებს?! თვითონ ასე არ იქცეოდნენ თავის დროზე?! ახლა ეს ბავშვური არგუმენტები, რომ, ვაიმე, არ გრცხვენიათ, ამაზე პოლიტიკური სპეკულაცია როგორ შეიძლება, სამწუხაროდ, შეიძლება!

***– უჭირს ხელისუფლებას გაკეთებულის ახსნა და დამაჯერებელ ვერსიებზე საუბარი?***

– კი, ნამდვილად უჭირს. ამას ყველა ხედავს.

***– არა აქვს დამაჯერებელი ვერსიები თუ ამის საზოგადოებამდე მიტანას ვერ ახერხებს?***

– ნამდვილად ვერ ახერხებს ამის საზოგადოებამდე მიტანას. მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლება ისეთს არაფერს აფუჭებს, მაგრამ ისე ცუდად მიაქვს ეს ყველაფერი საზოგადოებამდე, რომ კითხვები ნამდვილად ჩნდება. ეს არის მთავარი პრობლემა.

***– ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა, რომ ამ საქმეში ჩართული არიან ამერიკის სპეცსამსახურები. ისინი ერთობლივად მუშაობენ დ ამათ არა აქვთ დეტალებზე საუბრის უფლება.***



– კი ბატონო, ეს გასაგებია, მაგრამ ისეთ რაღაცას ნუ უყვები საზოგადოებას, თუნდაც როგორიც ეს ვერსია იყო, რომ ჩატაევს დარჩა კომპიუტერი, რომელიც ამათ წაიკითხეს მერე. კაცმა 24 საათის განმავლობაში წინააღმდეგობა გაუწია ჩვენს სამართალდამცავებს, მერე თავი აიფეთქა და კომპიუტერი დატოვა ინფორმაციით სავსე?! კომპიუტერს როგორ ვერ მოსპობდა ადამიანი, რომელსაც ისლამურ სახელმწიფოში უომია და ზეპირად უნდა სცოდნოდა უსაფრთხოების ზომების დაცვა. მსგავს ვერსიებს რომ აქვეყნებენ, რომ დასცინებენ მერე, ნაწყენები რატომ არიან და რატომ უკვირთ.

***– ჩატაევის საქმის კვალი საკმაოდ გაგრძელდა, ვნახეთ, თურქეთშიც ჩატარდა ოპერაციები, პანკისშიც. საკმაოდ დიდი იყო ეს ჯგუფი. რამდენად სერიოზული საფრთხე იქნა თავიდან აცილებული? დღეს ჩვენი ხელისუფლება ამაზე აპელირებს.***

– მე არ მგონია, დღეს ხელისუფლება რაღაცებს იგონებდეს და ამ კუთხით თვითონ ქმნიდეს პრობლემებს. რეალურად ის პრობლემას ებრძვის, მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი დაიწყო იქიდან, როცა საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებოდა ჩატაევი. როგორ შემოვიდა ის ჩვენს ტერიტორიაზე? აი, ეს არის მთავარი პრობლემა და აქედან უნდა დავიწყოთ. როგორ მოხვდა ეს კაცი აქ?!

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ის ვიღაცამ მიზანმიმართულად შემოიყვანა და არ შემოჰპარვიათ?***

– არ არის გამორიცხული, რომ ვიღაც ამაში დიდ ფულს იღებდა თავის დროზე და მან შემოიყვანა. მე რატომღაც ასე მგონია. ჩვენ გადავრჩით, რომ აქ ტერაქტი არ მოაწყო, ან კიდევ უფრო უარესი, აქედან არ გადავიდა რუსეთში, იქ არ მოაწყო ტერაქტი და ამან არ გამოიწვია ახალი კატასტროფა ჩვენთვის რუსეთის მხრიდან. უარესს გადავრჩით, მაგრამ, სამწუხაროდ, ცუდს მაინც ვერ ავცდით.

***– ფიქრობთ, რომ ის ყველაფერი, რაზეც უშიშროებამ ისაუბრა, აქ იგეგმებოდა? – საელჩოების აფეთქება და ასე შემდეგ.***

– ესეც ეჭვს მიჩენს, იმიტომ რომ, თუ ისინი აპირებდნენ აქ ტერაქტებს, ძალიან უცნაურია, რატომ არ აიყვანეს მძევლები? მე უფრო მგონია, რომ სხვა ქვეყანაში გადასვლას გეგმავდნენ, რადგან, ტერაქტის მოწყობა რომ სდომებოდათ, ამას მოახერხებდნენ. ჩატაევი დაბინავდა და ცხოვრობდა იმ უბანში, სადაც ცხოვრობდნენ ჩეჩნები და ქისტები. ეს მე რომ ვიცი, მით უმეტეს ეცოდინებოდათ სამართალდამცავებს. ის იყო პანკისელი ქისტის სახლი და მას აკვირდებოდნენ. ეს ყველაფერი სერიოზულ ეჭვებს აჩენს. მერე ამაზე რომ ვისმენთ რაღაც ზღაპრებს, ეს კიდევ უფრო აღიზიანებს საზოგადოებას, ბუნებრივია.

***– მაჩალიკაშვილის საქმე რამდენად გაამწვავებს ხეობაში ვითარებას? ითქვა, რომ შექმნილ სიტუაციას რუსეთი სათავისოდ გამოიყენებს.***

– არა მგონია, რუსეთმა ამ სიტუაციის გამოყენება შეძლოს. ჩაატარეს სპეცოპერაცია და ხალხი ჩახოცეს. რამდენად სამართლიანად ჩახოცეს, ეს სხვა ამბავია. თუ აქ არაფერ შუაში არ იყო მაჩალიკაშვილი, ბუნებრივია, ეს ძალიან ცუდად მოგვიტრიალება. ვერსიებს, რომლებზეც ხელისუფლება საუბრობს, ყოველთვის რაღაც აკლია, არ არის დამაჯერებელი. გასაგებია, რომ სიმართლეს დეტალებში ვერ მოყვებიან, მაგრამ, როცა ყვები რაღაც ვერსიას, შიგ ისეთი სისულელე არ უნდა ერიოს, რომ ყველაფერი აგერ-დაგერიოს. იმდენი სისულელე ურევია ამათ ვერსიებში, რომ მერე ყველაფერი თავდაყირა დგება. აი, ეს არის ძალიან ცუდი.

***– ამ სიტუაციებიდან გამომდინარე, რამდენად უსაფრთხოდ რჩება დღეს ჩვენი ქვეყანა?***

– პრინციპში, შედარებით უსაფრთხო ქვეყნად რჩება, ყველაფრის მიუხედავად. ვიტოვებ იმედს, რომ აგრესია თუ იქნება, ეს არ იქნება მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული. დღეს ხელისუფლებას აკლია იმის კომპეტენცია, რომ ადამიანებს სწორად მიაწოდონ ინფორმაცია და ეს არის მათი მთავარი პრობლემა. მათ, უბრალოდ, ნორმალური კომუნიკაცია არ შეუძლიათ საზოგადოებასთან, ვერ ახერხებენ ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომ მერე ათასი კითხვა არ გაჩნდეს და ძალიან სამართლიანადაც.

***– ეს არაკომპეტენტურობის ბრალია?***

– რა გითხრათ. შესაძლოა სამართალდამცავებს ჯერ კიდევ დალაგება, ვიღაცებისგან გაწმენდა სჭირდება. შიგნით რა ხდება, ნამდვილად არ ვიცი. ამდენი ცვლილება ბოლო პერიოდში, ზოგადად, ეს გადაადგილებები ქაოსს იწვევს.

# ცხინვალმა სერბეთთან თანამშრომლობას მოაწერა ხელი

## რაზე მოილაპარაკეს ანატოლი ბიბილოვმა და მილორად დოდიკმა

შორენა მარსაგიშვილი



სანამ საქართველოს ხელისუფლება საახალწლო ბახუსშია, ოკუპირებული ცხინვალის პირველი პირები საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობენ.

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანატოლი ბიბილოვი ოფიციალური ვიზიტით სერბეთს ეწვია, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების პირველ პირებთან რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა გამართა.

ოსური მედიის ცნობით, ბიბილოვი სერბეთის რესპუბლიკის მეთაურ მილორად დოდიკსაც შეხვდა. დოდიკმა და ბიბილოვმა ორმხრივი თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტსაც მოაწერეს ხელი. ხელმოწერის ცერემონიალი ბანე-ლუკეში გაიმართა.

ამ დოკუმენტს ხელი ცხინვალის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი მედოევმა და სერბეთის ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონული თანამშრომლობის მინისტრმა ზლატან კლოკიჩმაც მოაწერეს. მხარეები იმედოვნებენ, რომ სერბეთისა და სამ-



ხრეთ ოსეთის თანამშრომლობა ნაყოფიერი იქნება.

მედიასთან საუბარში ბიბილოვმა განაცხადა, რომ ის სერბეთში პირველად იმყოფება და ეს მისთვის ძალიან ამაღელვებელია.

ოკუპირებული რეგიონის პირველი პირი ამბობს, რომ ცხინვალსა და სერბეთს ბევრი საერთო აქვთ.

– ჩვენი რესპუბლიკების ჩამოყალიბება თითქმის ერთსა და იმავე დროს დაიწყო. ამას საფუძველიც ერთნაირი ჰქონდა – სერბეთი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ გახდა დამოუკიდებელი, ჩვენ – საბჭოთა კავშირის, – აღნიშნავს ბანე-ლუკე მოვლილი ბიბილოვი.

მათი მთავარი გამაერთიანებელი კი რუსეთი ყოფილა.

– ჩვენ კიდევ ბევრი საერთო გვაქვს. სერბეთიც და სამხრეთ ოსეთიც მართლმადიდებელი ქვეყნებია და ორივე ჩვენგანს რუსეთთან კარგი ურთიერთობა აქვს. ჩვენ რუსეთიც გვაკავშირებს ერთმანეთთან, – ამბობს სამხრეთელ ოსთა ლიდერი.

ოსი მეცნიერები ალბათ სერბებთან ახლო ნათესაობასაც დაადგენენ. შარშან მათი საგარეო საქმეთა მინისტრი კატალონიაში იყო და ბარსელონაში გახსნა წარმომადგენლობა. მაშინ ერთ-ერთმა ოსმა მეცნიერმა სრული სერიოზულობით დაწერა, რომ კატალონია დიდი ოსეთის ნაწილი იყო და მას სინამდვილეში კატალანია ჰქვია.

მისი თქმით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი შეეცდება, სერბეთი და ცხინვალი რუსეთს დააშოროს.

– მცდელობა იქნება, მაგრამ არ გამოუვათ. როდესაც არის იდეა, მას ვერანაირი სამხედრო ბლოკი ხელს ვერ შეუშლის, – ასე სწამს ბიბილოვს.

ის სერბეთთან თანამშრომლობაზე, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი, ისე აწერს ხელს, მაგრამ იქაც კი ამბობს, რომ მისი მიზანი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა.

– ჩვენ ისტორიულ სამშობლოში უნდა დავბრუნდეთ, – აცხადებს ცხინვალელი.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ბიბილოვი რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შესახებ აკეთებს განცხადებებს. საქართველოს ხელისუფლება ამაზე აღარ რეაგირებს და ბიბილოვიც სულ უფრო ხშირად საუბრობს რუსეთში შესვლაზე.

მან სერბეთში ყოფნისას ის დროც კი გაიხსენა, როცა ერთიანი ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა. მისი თქმით, ეს 1774 წელს მოხდა.

– ჩვენ იქ საკუთარი სურვილით შევედით. ოსებმა პირველი ელჩები სანკტ-პეტერბურგში 1745 წელს გააგზავნეს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 1774 წელს, ერთიანი ოსეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, – ამბობს ბიბილოვი.

ისტორიის ლაბირინთებში არეულმა კიდევ ერთი „ჭეშმარიტება“ გაიხსენა.

– ჩვენი გაყოფა სამხრეთად და ჩრდილოეთად საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ მოხდა. სამხრეთ ნაწილი საქართველოს გადაეცა, ჩრდილოეთი კი რუსეთში დარჩა, – ამბობს ისტორიკოსი.

ამაზე ნამდვილად ალალი იქნება რამდენიმე თვით სტალინის გა-



ცოცხლება, რომლის უშუალო მოთხოვნითაც შეუქმნეს ოსებს ორი ავტონომია. ერთი საქართველოში და მეორე – რუსეთში. იმისთვის, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიას ეარსება, სტალინის ბრძანებით მის შემადგენლობაში შეიყვანეს ყაბარდოსა და ინგუშეთის რიგი ტერიტორიები.

ბიბილოვი იმედოვნებს, რომ ოდესმე საქართველო სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. საინტერესოა, როგორ უნდა ცნოს საქართველომ ეს ქვეყანა, როცა ის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას აპირებს.

ბიბილოვი ამბობს, რომ ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოსებს საქართველოს ტერიტორიაზე ნათესავები ჰყავთ და მათ მოსანახულებლად წასვლა შორი გზით – დარიალის ხეობის გავლით უწევთ.

– ოსებისთვის საქართველოს ხელისუფლება გამონაკლისებს არ უშვებს. ჩვენ კი ახალგორში ქართველებს ზედმეტი პრობლემების გარეშე ვატარებთ, – ნამუსზე აგდებს ქართულ მხარეს ბიბილოვი.

* * *

იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ბიბილოვის სერბეთში ვიზიტზე სათანადო რეაქცია ექნება. თბილისი აშკარად მოიკოჭლებს ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით. გასულ წელს სოხუმმა და ცხინვალმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გახსნეს წარმომადგენლობები.

დიმიტრი მედოევი ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთი წარმომადგენლობას მალე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გახსნის. ჩვენმა ხელისუფლებამ თუ ასე გააგრძელა ბუზების თვლა, ოსები მართლა გახსნიან ამერიკაში რამე წარმომადგენლობას.

# დავით ზურაბიშვილი: „ხელისუფლების ნათქვამი ოპოზიციაზე სააკაშვილის ნათქვამს ჰგავს“

ნათია ხურცილავა



რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ზურაბიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ხელისუფლების იმ განცხადებას პასუხობს, რომლითაც ხელისუფლება ოპოზიციას ტერორიზმის თემით პოლიტიკური ქულების ჩაწერაში ადანაშაულებს.

***– ბატონო დავით, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ოპოზიცია შეფარვით ცდილობს იმ თემებით სპეკულირებას, რომელიც სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. ოპოზიცია რამდენად ვერ აცნობიერებს ამ საფრთხეებს?***

– ხელისუფლების მხრიდან ასეთი ნათქვამი პრინციპულად მიუღებელია, იმიტომ რომ თითქოს ხელისუფლება რაღაც კარგ საქმეს აკეთებს და მის წინააღმდეგ არის მთელი ოპოზიცია დარაზმული, თითქოს ოპოზიცია სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდის და ასეთ ცუდ საქმეს ჩადის. ასეთი განცხადებები ძალიან ჰგავს სააკაშვილის იმ განცხადებებს, როდესაც ის ხელისუფლებაში იყო, პრეზიდენტი იყო და ოპოზიციას რუსეთის აგენტობას სდებდა ბრალად. სააკაშვილის ლოგიკით, ვინც იმ ხელისუფლებას არ ეთანხმებოდა, ყველა რუსეთის აგენტი იყო.

კონკრეტულად ამ ფაქტს რაც შეეხება, მაჩალიკაშვილის ფაქტს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, აქ კითხვები არსებობს და ეს კითხვები სრულიად ლეგიტიმურია: სპეცოპერაცია, რომელიც ჩატარდა, რამდენად შეიძლებოდა, რომ მსხვერპლის გარეშე დასრულებულიყო. ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხებია საჭირო. კითხვები არსებობს და ეს კითხვები ლეგიტიმურია და ამაზეა ხელისუფლების მხრიდან პასუხის გაცემა საჭირო.

***– ჩვენთან ინტერვიუში ირაკლი სესიაშვილმა ამ კითხვაზე თქვა, რომ გამოძიება მიმდინარეობს და ყველა კითხვას პასუხი გაეცემა.***

– გასაგებია, რომ გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ მკაფიოდ უნდა ითქვას, თუ გადაცდომა დადგინდება, ვიღაც აუცილებლად დაისჯება. კონკრეტული ადამიანების დასჯაზეა აქ საუბარი და არა იმაზე, რომ ტერორიზმს სახელმწიფომ არ უნდა ებრძოლოს და შორიდან უყუროს. რა თქმა უნდა, ტერორიზმის განეიტრალებას სახელმწიფო უნდა ცდილობდეს და აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს. აქ საუბარია კვალიფიკაციაზე და ეს კითხვები ზოგადად უსაფრთხოების საკითხით დაკავებულ ადამიანებს ეხებათ და არა უშუალოდ, მაგალითად, რომელიმე სპეცრაზმელს. კითხვები არსებობს.

ასევე ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან რთული საკითხია თავისთავად, როდესაც საქმე ეხება ტერორიზმს და როდესაც საქმე ეხება პანკისის ხეობას. რასაკვირველია, მათ შორის ოპოზიციის წარმომადგენლებმაც ფრთხილად უნდა გააკეთონ განცხადებები, რომ ცეცხლზე ნავთი არ დაასხან. კონკრეტული წარმომადგენლებისგან შეიძლება იყოს ისეთი განცხადებები, რომელიც უფრო ემოციურია და პოლიტიკურად სწორად არ იყოს გათვლილი. თუმცა, ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი მაინც ხელისუფლების ქმედებებია, ვიდრე ოპოზიციის. თავისთავად რთული თემაა. ასევე, არა მგონია, ზედმეტად ყურადღების გამახვილება და ამ თემის აწევა, გამწვავება სწორი იყოს. თუმცა, ხელისუფლების მხრიდან კომენტარებს, რომლებიც კეთდება, ასევე თუ როგორც აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას, ამ შემთხვევაში სწორედ ამას აქვს მნიშვნელობა.

***– ბატონო დავით, ხელისუფლება ამბობს, რომ სახელმწიფო თუ მარტო დარჩება, ტერორიზმთან ვერაფერს გახდება. აქცენტი საზოგადოებასთან ერთად ოპოზიციაზე კეთდება.***

– პარლამენტში არსებობს ნდობის ჯგუფი. ნდობის ჯგუფის ფარგლებში ინფორმაცია უნდა მიაწოდონ იმავე ოპოზიციის წარმომადგენელს. ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ არსებობს საკითხები, რომლებიც ასე საჯაროდ ვერ იქნება გამოტანილი, მით უფრო, როდესაც საქმე ტერორიზმს ეხება, მაგრამ იმ შესაძლებლობებითა და ლეგიტიმური მეთოდებით, რომლებიც სახელმწიფოს აქვს, რაღაცნაირად ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს გარკვეულ დონეზე მაინც, იმ დოზით მაინც, რა დოზითაც ეს არის შესაძლებელი, მაგრამ, ეს რომ არ ხდება, ამაშია საქმე.

***– წლების წინ, 90-იან წლებში, გვახსოვს, რა ვითარებაც იყო პანკისის ხეობაში, როგორი რთული რეგიონია, რამდენად გამოიწვევს ეს ფაქტი პანკისის ხეობაში სიტუაციის დაძაბვას და როგორი უნდა იყოს ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პოზიცია?***

– დიახ, რთული რეგიონია, მაგრამ კონკრეტული ფაქტი გამოიწვევს თუ არა დაძაბულობას, ეს მთლიანად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, მის ქმედებებზე. როგორ შეძლებს ხელისუფლება პანკისის ხეობაში სიტუაციის დარეგულირებას, როგორ ჩაატარებს გამოძიებას, რამდენად დამაჯერებელი იქნება მისი ვერსია, რამდენად ექნება უნარი, რომ თუ შეცდომა იქნება დაშვებული, ხელისუფლებას ამ შეცდომაზე ადეკვატური რეაგირება ექნება. ძალიან კომპლექსური საკითხია, ძალიან რთული საკითხია.

***– ელოდებით დაძაბულობას?***

– თუ სახელმწიფო იმოქმედებს სწორად, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მაშინ არ მოხდება დაძაბულობა. პანკისის ხეობა საქართველოა, იქ დასახლებული ადამიანები საქართველოს მოქალაქეები არიან და არა მგონია, გადაუჭრელი პრობლემები არსებობდეს.

***– საქართველოს წინაშე ტერორიზმის საფრთხე რეალურად დგას თუ, ფიქრობთ, გაზვიადებულია?***

– ტერორიზმი არის რეალური, გლობალური საფრთხე. ყველა ქვეყანა დგას ამ საფრთხის წინაშე და მათ შორის საქართველოც. ჩვენ ისეთ რეგიონში ვართ და ისეთ პროცესებში ვმონაწილეობთ, რომ მთლად უსაფრთხო კუნძულად ვერ დავრჩებით. რასაკვირველია, ამ საკითხებს სათანადო ყურადღების მიქცევა სჭირდება.

# რა კითხვები აქვთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ოპოზიციას თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და ოპოზიციის წარმომადგენლებს მმართველ გუნდთან შეკითხვები აქვთ. მათი თქმით, მთავარი კითხვა, რომელიც ამ დროისთვის საზოგადოებაში არსებობს, არის მაჩალიკაშვილის წინააღმდეგ ლეტალური იარაღის გამოყენების აუცილებლობა.

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, ანა ნაცვლიშვილის თქმით, დღესდღეობით ორი ძირითადი პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს, მათ შორის ის, თუ რა ზომები მიიღო სახელმწიფომ იმისათვის, რომ სპეცოპერაცია არ დასრულებულიყო ტრაგიკული შედეგით.

– უდიდესი ტრაგედიაა მთელი ქვეყნისთვის, როცა 19 წლის ადამიანის სიცოცხლე იკარგება და ძალიან მნიშვნელოვანია, ამ საქმეზე ჩატარდეს გამოძიება, რომელიც იქნება ობიექტური და რომელიც არსებულ კითხვებს პასუხებს გასცემს. ორი ძირითადი მიმართულებისკენ არის დაგროვილი ეს კითხვები. ერთი არის ის, თუ რა ზომები მიიღო სახელმწიფომ იმისათვის, რომ ეს ფაქტი არ დასრულებულიყო ასეთი ტრაგიკული შედეგით, და მეორე მნიშვნელოვანი მიმართულება, ეს არის სახელმწიფოს მოქმედებები ანტიტერორისტული საქმიანობის მიმართულებით, – განაცხადა ანა ნაცვლიშვილმა.

გამოძიების მიერ პასუხგაუცემელ კითხვებზე საუბრობენ ოპოზიციაშიც. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის, ზაზა ბიბილაშვილის თქმით, თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეში ფიგურირებდა არა მხოლოდ ამჟამინდელი ხელისუფლება, არამედ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბიძინა ივანიშვილიც.



– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამას ივანიშვილის მწვანე შუქის გარეშე ვერავინ გაბედავდა. დღეს 19 წლის ადამიანის საკუთარ ლოგინში ჩაცხრილვით გვეუბნებიან, რომ მორჩა პრობლემა, ეს იყო ის ადამიანი, ვინც ყველაფრის მიღმა იდგა, დაიშალეთ, ყველაფერი კარგად იქნება. ბუნებრივია, ეს ასე არ არის, ბუნებრივია, დადგება როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ასევე პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხიც, – განაცხადა ზაზა ბიბილაშვილმა „რუსთავი 2?-ის ეთერში.

გარდა „ნაციონალური მოძრაობისა“, მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს აკრიტიკებენ „ევროპულ საქართველოშიც“. მისი წარმომადგენლის, სერგი კაპანაძის თქმით, არცერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არსებობს იმის პრაქტიკა, რომ თუ მთავრობა ვალდებულებას ვერ ასრულებს, ეს ვალდებულება გააუქმო.

– უმრავლესობა განიხილავს შესაძლებლობას, რომ მთავრობას აღარ ჰქონდეს ვალდებულება, დაბარების შემთხვევაში მოვიდეს პარლამენტში და ფრაქციების მიერ დასმულ შეკითხვებს გასცეს პასუხი. პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ამიტომ ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს. არსად მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში არ არის მიღებული პრაქტიკა, რომ თუ მთავრობა ვალდებულებას არ ასრულებს, ეს ვალდებულება გააუქმო და ამით გამოასწორო სიტუაცია, – აღნიშნავს სერგი კაპანაძე.

თემირლან მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით კითხვები არასამთავრობო სექტორსაც აქვს. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) პოლიტიკური უფლებების პროგრამის დირექტორის, თამთა მიქელაძის თქმით, ცენტრს კითხვები აქვს მაჩალიკაშვილის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ ლეტალური ძალის გამოყენების კანონიერებაზე. მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ შიდასამართლებრივი საშუალებები ეფექტიანი არ იქნება, EMC საქმის გაგზავნას სტრასბურში გეგმავს.

– ჩვენ გვაქვს კითხვის ნიშნების სახელმწიფოს მიერ ლეტალური ძალის გამოყენების კანონიერებასთან და პროპორციულობასთან დაკავშირებით. და ცხადია, ჩვენ გამოვიყენებთ ყველა საშუალებას იმისთვის, რომ ადგილობრივ დონეზე გამოძიებას მივაწოდოთ ყველა მტკიცებულება და ამ საქმეზე სიმართლე დადგინდეს და დაზარალებული ოჯახის უფლებები იქნეს დაცული. საბოლოოდ შიდასამართლებრივი საშუალებები თუ ეფექტიანი არ იქნება, ჩვენ ვგეგმავთ ამ საქმის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნას, – განმარტავს თამთა მიქელაძე.

# აკაკი გოგიჩაიშვილი: „რეალიზებისთვის მეტი არეალი მჭირდება“



ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტი, გადაცემა „ბიზნესკურიერისა“ და „კვირის გამოძიების“ წამყვანი აკაკი გოგიჩაიშვილი ტელეკომპანია „იბერიაში“ გეგმავს გადასვლას, სადაც ყოველდღიურ ბიზნესგადაცემას უხელმძღვანელებს:

– ამ ეტაპზე საუბარია იმაზე, რა რესურსს გამოყოფს არხი, რომ გაკეთდეს ის გადაცემა, რაზეც საუბარია. საუბარია ყოველდღიურ ბიზნესგადაცემაზე. ერთია, მე რა პირობები მჭირდება, ფინანსური თუ სხვა, მარტო ერთი ადამიანი ხომ ვერ გავაკეთებ?! მჭირდება, ცხადია, რესურსი, როგორც ადამიანური, ასევე ტექნიკური. ამ ნაწილზე მიდის ახლა მუშაობა – რა არის საჭირო და შესაბამისი უზრუნველყოფა მოხდეს, – უთხრა გოგიჩაიშვილმა „ნეტგაზეთს“.

ჟურნალისტმა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის დატოვების მიზეზებზეც ისაუბრა:

– ვფიქრობ, რომ მე სხვა რამის გაკეთება მინდა და უფრო მეტის, ვიდრე ამის საშუალება და მოთხოვნილება არის ახლა არხზე. არხმა გადაწყვიტა, დირექტორმა მათ შორის, ალბათ, რომ ბიზნესშინაარსი არხს არ სჭირდება. საგამოძიებო გადაცემა, სიმართლე გითხრათ, დიდად მეც არ მაინტერესებდა. ეს საგამოძიებო ნაწილიც შემოტანილია სხვა გადაცემებში, იგივე პ.ს.-ში თუ შაბათის კურიერში. ამდენად, მე ჩავთვალე, რომ საკუთარი თავის რეალიზებისთვის მეტი არეალი მჭირდება, – ამბობს გოგიჩაიშვილი.

აკაკი გოგიჩაიშვილის გადაცემა „ბიზნესკურიერი“ 2017 წლის ივლისში დაიხურა. მეორე გადაცემა, „კვირის გამოძიება“, 2017 წლის ნოემბერში დახურა არხმა.

„ნეგაზეთის“ ინფორმაციით, ტელეკომპანია „იბერიის“ გადაცემა „ბიზნესკოდის“ თანამშრომლების უმეტესობას კონტრაქტები შეუწყდა. აკაკი გოგიჩაიშვილი ამბობს, რომ ამ ეტაპზე არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა, ვინ იქნება მის გუნდში:

– ჩემი გუნდი დაიშალა, არა მყავს, თორემ, რა თქმა უნდა, ჩემი გუნდით მირჩევნია მისვლა იმიტომ, რომ ადამიანებთან, რომლებთანაც მუშაობა შედგა, იცი, ენდობი და მოლოდინები ზუსტად იცი, რა უნდა გქონდეს და რა იქნება. ამდენად, რადგან ეს გუნდი თავიდანაა გასაკეთებელი, ამ ეტაპზე არ მაქვს ჩამოყალიბებული აზრი, ვინ იქნება ამ გუნდში, რამდენი იქნება და ამაზეც მიდის მათ შორის მუშაობა.

# ნემცოვის სახელობის ქუჩა ვაშინგტონში და რეაქცია რუსეთში

ვაშინგტონის იმ ქუჩას, რომელიც რუსეთის საელჩოს წინ მდებარეობს, მოკლული რუსი ოპოზიციონერის ბორის ნემცოვის სახელი მიენიჭება. „რადიო თავისუფლების“ ცნობით, კოლუმბიის უბნის საბჭომ ცვლილებას კენჭი 9 იანვარს უყარა და ერთსულოვნად დაამტკიცა. საბჭომ გადაწყვეტილება „დემოკრატიისთვის მოკლული აქტივისტის“ პატივისცემით ახსნა.

აღნიშნულ ცვლილებას წარმომადგენლობითი საბჭოს ერთ-ერთი კომიტეტის ნებართვაც სჭირდება, თუმცა საბჭოს ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ბორის ნემცოვის მკვლელობიდან 4 წლისთავისათვის სისრულეში იქნება მოყვანილი.

ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებას რუსეთის პოლიტიკურ წრეებში უკვე გამოეხმაურნენ. კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა მედიასთან საუბრისას აღნიშნა, რომ „გადაწყვეტილება ქალაქის(ვაშინგტონის) ოფიციალური პირების პრეროგატივაა“. მისივე თქმით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გასაუმჯობესებლად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ვაშინგტონის გადაწყვეტილება მეტად მწვავედ შეაფასა „რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ. რადიკალიზმით გამორჩეულმა პოლიტიკოსმა ქუჩის სახელის ცვლილებას „ბინძური აქტი“ უწოდა რუსეთის საელჩოს წინააღმდეგ.

– ნებისმიერ ქალაქს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, ვისი სახელი დაარქვას ქუჩას. მაგრამ ეს უნდა იყოს ობიექტური. ბევრი კრიმინალი იქნა ჩადენილი, როცა ნემცოვი იყო გუბერნატორი. უნდა დავფიქრდეთ, ვის სახელს ვარქმევთ მოედანს ამერიკის დედაქალაქში, – აღნიშნა ჟირინოვსკიმ.

რუსი ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი, რომელიც რუსეთის ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა, 2015 წლის 27 თებერვალს კრემლთან ახლოს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს. გასული წლის ივნისში მკვლელობის ბრალდებით წარმოშობით ჩეჩენი 5 პირი დააკავეს, რომლებსაც ივლისში 11-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ცოტა ხნის წინ ნემცოვის მხარდამჭერებმა მკვლელობის ადგილას მის პატივსაცემად მემორიალი განათავსეს, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში გაქრა.

2018 წლის 27 თებერვალს ნემცოვის ხსოვნის პატივსაცემად მოსკოვში ოპოზიცია საპროტესტო მარშს გამართავს.

# მამუკა ტუსკაძე: „თიანეთის საკრებულო ზაქარია ქუცნაშვილის დავალებით საბოტაჟს აწყობს“

გულიკო ბალაძე

რა ხდება თიანეთის საკრებულოში? რამდენად სწორად იკავებს თიანეთის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი წოწკოლაური თანამდებობას, როცა მას სასამართლოს მიერ 2020 წლამდე სახელმწიფო-საჯარო თანამდებობის დაკავება აკრძალული ჰქონდა?

„უფლებადამცველთა სახლის“ დამფუძნებელი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე საუბრობს და დოკუმენტებს ასაჯაროებს.

„უფლებადამცველთა სახლმა“ კვლევა ჩაატარა თიანეთის საკრებულოს მუშაობისა და იქ ამჟამად არსებული ვითარების თაობაზე, რაც პრესკონფერენციაზე წარმოადგინა.

– „უფლებადამცველთა სახლი“ ატარებს კვლევას სამ რაიონში, სადაც ერთპარტიული თვითმმართველობა არ არის. კვლევა ჩავატარეთ თიანეთში, ოზურგეთსა და ბორჯომში. ამჯერად ვასაჯაროებთ კვლევის წინასწარ შედეგებს თიანეთის საკრებულოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. თიანეთის საკრებულო პირველად 20 ნოემბერს შეიკრიბა და საკრებულოს უფლებამოსილება ცნო. პრაქტიკულად, მას შემდეგ არ შეკრებილა. იმ შეკრებების შემდეგ, როცა გროვდებიან და სხდომის სახეს აძლევენ, კანონის შესაბამისად არ ახდენენ ოქმის შედგენას. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ 20 ნოემბრის შემდეგ თიანეთის საკრებულოში სხდომა არ ჩატარებულა. ხელთ მაქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ, მაგალითად, 9 იანვრის აქტით საკრებულოს 5 წევრი ადასტურებს, რომ 20 ნოემბრიდან დღემდე არ მისულა საკრებულოში, არ გამზადებულა ოქმი, რაც ნიშნავს, რომ საკრებულოს სხდომა არ ჩატარებულა, – აცხადებს მამუკა ტუსკაძე.

მამუკა ტუსკაძის განცხადებით, 20 ნოემბრის შემდეგ საკრებულოს სხდომის არჩატარება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის დარღვევაა, სადაც შესაბამის მუხლში მითითებულია, თუ როგორ უნდა ფუნქციონირებდეს თვითმმართველობის ორგანო.

– ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე პრიმა მუხლში წერია, თუ სხდომა ჩატარდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კომისიისა და ბიუროს სხდომის გამართვიდან 10 დღეში ოქმი გამზადებული უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ 22 დეკემბერს ფორმალურად თითქოსდა სხდომა ჩატარდა, ოქმი ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული. ბოლო საკრებულოს სხდომიდან 22 დღეა გასული.

მამუკა ტუსკაძე აღნიშნავს, რომ საკრებულოს სხდომა ჩატარებულია ძალიან კურიოზულად.

– სხდომა ჩატარებულია ძალიან კურიოზულად. საიტიდან ამოღებული დოკუმენტებით ირკვევა, რომ საკრებულოს სხდომაზე ჯერ უმსჯელიათ 2017 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებზე, საკრებულოს მიერ რაღაც უფლებამოსილების განხორციელებაზე და შემდეგ დაუმტკიცებიათ კომისიების პერსონალური შემადგენლობა, ანუ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი უკუღმა აქვთ შედგენილი. ჯერ იმსჯელეს რაღაც საკითხებზე, მერე კი – უფლებამოსილებაზე. ამიტომ 22 დეკემბრის სხდომის ოქმს, სავარაუდოდ, ჩვენი ორგანიზაცია სასამართლოში გაასაჩივრებს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ისწავლონ, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელება არა მარტო თიანეთში, არამედ სხვა რაიონებშიც, – აღნიშნა მამუკა ტუსკაძემ.

***– ბატონო მამუკა, ამბობთ, რომ თიანეთის საკრებულო არ მუშაობს. საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი წოწკოლაურმა არ იცის, როგორ იმუშაოს?***

– ალბათ, არ იცის. მე ამ შემთხვევაში კითხვაც აღარ მიჩნდება იმ დოკუმენტებიდან გამომდინარე, რომელიც გვაქვს. დოკუმენტის თანახმად, თიანეთის დღეს მოქმედი თავმჯდომარე გიორგი წოწკოლაური 2010 წლის თებერვალში ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით არის გასამართლებული. მან 2010 წელს ჩაიდინა დანაშაული ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა-გადატანა-გასაღების მუხლით. გიორგი წოწკოლაური 260-ე მუხლის მესამე ნაწილით გაასამართლეს. მან ითანამშრომლა გამოძიებასთან. წოწკოლაურს 5 წლით პირობითი სასჯელი მიესაჯა და 5 წლით სახელმწიფო თანამდებობის დაკავება აეკრძალა. 2020 წლამდე მას, რეალურად, აკრძალული აქვს, იყოს



საკრებულოს წევრიც კი. მას ყველა სახელმწიფო ორგანოში აკრძალული აქვს მუშაობა. საკრებულოს თავმჯდომარეობა ამ შემთხვევაში სახელმწიფო-საჯარო პოლიტიკური თანამდებობაა. ამიტომ გიორგი წოწკოლაური არასწორად იკავებს თანამდებობას.

***– საკრებულოს სხდომის არჩატარება რით შეიძლება იყოს გამოწვეული?***

– მონიტორინგის შედეგად იმ დასკვნამდე მივედით (რის თაობაზე რამდენიმე დღეში საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ვაცნობებთ), რომ თიანეთის რაიონის საკრებულო ჩვეულებრივ საბოტაჟს მიმართავს.

***– საკრებულო საბოტაჟს რატომ უნდა მიმართავდეს?***

– რადგან მერი არის სხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე ადამიანი, ხოლო საკრებულოს სხვა პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანების უმრავლესობა ჰყავს (დღეს, რეალურად, თიანეთში ნარკოტიკების პოლიტიკური ორიენტაციის საკრებულო გვყავს), შედეგად საბოტაჟის მცდელობაა. ფიქრობენ, თუ 31 მარტამდე ბიუჯეტი არ დამტკიცდება, შედეგად 31 მარტს იძულებული იქნებიან, კანონის 142-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულო დაითხოვონ, მერს კი ახალ არჩევნებამდე მოვალეობის შესრულება და როგორც საკრებულოს, ასევე მერის რიგგარეშე არჩევნების ჩატარება დაევალება. ვფიქრობ, ეს კარგიც იქნება. თუმცა, საბოტაჟის მეთოდებით, რომელსაც დღეს თიანეთის საკრებულო მიმართავს, ადგილობრივი თვითმმართველობის მართვა, ისევ მათ იმიჯზე, მათ რეპუტაციასა და, ზოგადად, ქვეყნის იმიჯზეც მოქმედებს.

***– რა გარანტია აქვს საკრებულოს ამ შემადგენლობას, რომ მოსახლეობა მათ ხელმეორედ აირჩევს?***

– მე არ მაინტერესებს, საკრებულოში ვის აირჩევენ, ან მეჭიაურს აირჩევენ თუ სხვა ვინმეს.

***– ვერ ხვდებიან, რომ ახალი არჩევნების შემთხვევაში შეიძლება ხალხმა ისინი აღარ აირჩიოს?***

– მესმის, მაგრამ მათ დავალება აქვთ. ეგ საკითხი ზაქარია ქუცნაშვილისკენ მიდის.

***– თიანეთის საკრებულო ზაქარია ქუცნაშვილის დავალებით მოქმედებს?***

– დიახ, თიანეთის საკრებულო ზაქარია ქუცნაშვილის დავალებით საბოტაჟს აწყობს.

***– ანუ შეგნებულ საბოტაჟთან გვაქვს საქმე?***

– რა თქმა უნდა, შეგნებული საბოტაჟია ნარკომანი წოწკოლაურის მეთაურობით, რომელსაც 2020 წლამდე აკრძალული აქვს სახელმწიფო თანამდებობის დაკავება.

***– ამ დანაშაულზე ამნისტია არ შეეხებოდა?***

– 2012 წლის ამნისტია პირობით სასჯელებს არ შეჰხებია.

***– ნარკოტიკების შეძენა-გასაღებაზე პირობითი სასჯელი როგორ მიუსაჯეს 2010 წელს, როცა, მით უმეტეს, იმ დროს, ამ დანაშაულისთვის დიდ სასჯელებს უსჯიდნენ?***

– სავარაუდოდ, წოწკოლაურმა ითანამშრომლა გამოძიებასთან. სხვაგვარად ასეთ დაბალ სასჯელს ვერ მისცემდნენ. სხვაგვარად მაღალ სასჯელს მიუსჯიდნენ. შეიძლება უვადო პატიმრობაც კი მიესაჯათ. თანაც გიორგი წოწკოლაური ყოფილი პოლიციელია.

***– პოლიციელი მონაწილეობდა დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვა-გასაღებაში?***

– დიახ და ამისთვის დაიჭირეს. ჩააწყო, გახსნა კარტები და დაბალი სასჯელი მისცეს.

# FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი 2017 წელს 8.2%-ით გაიზარდა

FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი დეკემბერში, წინა თვესთან შედარებით, 3,3 %-ით შემცირდა. იმავდროულად, 2017 წლის ფასების საშუალო წლიური მაჩვენებელი 2016 წლის შესაბამის მონაცემებს 8,2%-ით აღემატება.

11 იანვარს გამოქვეყნებული FAO-ს სურსათის ფასების ინდექსის მიხედვით, სურსათზე გლობალური ფასები დეკემბერში შემცირდა. რაც ძირითადად განაპირობა მცენარეულ ზეთზე და რძის პროდუქტებზე ფასების მკვეთრმა შემცირებამ.

FAO-ს სურსათის ფასების ინდექსი ასახავს საერთაშორისო ფასების ყოველთვიურ ცვლილებებს სამომხმარებლო კალათის ძირითად პროდუქტებზე (მარცვლეული, შაქარი, მცენარეული ზეთი, ხორცი და რძის პროდუქტები). ინდექსმა დეკემბერში 169,8 პუნქტი შეადგინა, რაც ნოემბრის მაჩვენებელზე 3,3%-ით ნაკლებია. მიუხედავად წლის მიწურულს ფასების შემცირებისა, საშუალო წლიური ინდექსი 2017 წელს 8,2 %-ით გაიზარდა და 174,6 პუნქტი შეადგინა. ეს მაჩვენებელი რეკორდულია 2014 წლის შემდეგ.

რძის პროდუქტების ფასის ინდექსი დეკემბერში 9,7%-ით შემცირდა. საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტის დიდმა მოცულო-



ბებმა და შედარებით დაბალმა მოთხოვნამ განაპირობეს ფასების ვარდნა მოუხდელ და უცხიმო რძის ფხვნილზე, ისევე როგორც ყველზე და კარაქზე. ამავე დროს, რძის პროდუქტების საშუალო წლიური ფასები 2017 წელს 31,5%-ით გაიზარდა.

მცენარეული ზეთის ფასის ინდექსი ნოემბრის შემდეგ 5,6%-ით შემცირდა. შესაბამისი მარაგების ზრდის პირობებში, მალაიზიასა და ინდონეზიაში პალმის ზეთის ფასები დაეცა. აღნიშნული ვითარება, თავის მხრივ, დაღმავალ ზეწოლას ახდენდა სოიოს ზეთის ფასებზე. მცენარეული ზეთის საშუალო წლიური ინდექსი 2017 წელს 3%-ით გაიზარდა.

შაქრის ფასის ინდექსი ნოემბერთან შედარებით 4,1%-ით შემცირდა. კლება ძირითადად გამოწვეული იყო სეზონური ფაქტორებით და ჭარბი მარაგების მოლოდინებით მიმდინარე წლისათვის. 2016 წელთან შედარებით შაქრის საშუალო წლიური ფასები 11,2%-ით შემცირდა, რაც ძირითადად ბრაზილიაში (უმსხვილესი მწარმოებელი) მაღალმა მოსავლიანობამ განაპირობა.

მარცვლეულის ფასის ინდექსი დეკემბერში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და ზედიზედ 3 თვე სტაბილურობას ინარჩუნებს. ხორბლის გლობალური ფასების შემცირება სიმინდისა და ბრინჯის ფასების ზრდით დაკომპენსირდა. მარცვლეულის ფასების საშუალო წლიური ინდექსი 3,2%-ით მეტია 2016 წელთან შედარებით, თუმცა 37%-ით ჩამორჩება 2011 წლის რეკორდულ მაჩვენებელს.

ხორცის ფასის ინდექსი ოდნავ შემცირდა. საქონლის ხორცის მიწოდება დაღმავალ ზეწოლას ახდენდა შესაბამის ფასებზე. რაც შეეხება წლიურ მაჩვენებელს, 2016 წელთან შედარებით, ხორცის ფასების 9%-იანი ზრდა დაფიქსირდა.

# ირანის გეგმები საქართველოში

## თეირანისთვის კავკასია პრიორიტეტული ხდება?

მარიამ მჭედლიშვილი

ირანში გამართულმა საპროტესტო აქციებმა დაადასტურა, რომ ახლო აღმოსავლეთის მთელ რეგიონში დიდი ძვრებია მოსალოდნელი და ისინი კავკასიასაც მოიცავს.

ექსპერტების აზრით, ირანული კრიზისის გადაწყვეტის პირველი ეფექტი უკვე გამოიკვეთა. საქმე ეხება ირანის გეგმებს საქართველოში. მართალია, ისინი გაზის სფეროს ეხება, მაგრამ უფრო პოლიტიკური დანიშნულება აქვს.

ირანის გაზის საქართველოში ტრანსპორტირების პერსპექტივებზე წინა წლებშიც ყოფილა საუბარი, მაგრამ ბოლოდროინდელი განცხადებები ამ საკითხზე ბევრად უფრო ყურადსაღებად მიიჩნევა.

ირანის გაზის ეროვნული კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ხამიდ რეზა არაკიმ არ გამორიცხა შეთანხმება ირანული გაზის საქართველოსთვის მიწოდების თაობაზე. მოლაპარაკების შემთხვევაში კერძო სექტორს, ერთი ვარიანტით, შეუძლია სომხეთის გავლით ირანული გაზი შემოიტანოს საქართველოში. ეს სომხეთს შესძენს სატრანზიტო ქვეყნის სტატუსს, რასაც მუდმივად ეწინააღმდეგებოდა აზერბაიჯანი.

არსებობს ირანული გაზის საქართველოში მოწოდების აზერბაიჯანული გზა. ცნობილია, რომ დღეს ბაქო საქართველოს მთავარი მომმარაგებელია და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც აქვს.

ირანული გაზი, პერსპექტივაში, საქართველოს შიდა მოხმარებისათვის განიხილება. ამ ეტაპზე ამის საჭიროება არ დგას. ესეც ადასტურებს, რომ ამგვარ ჩანაფიქრს პოლიტიკური მიზანი აქვს და არა – კომერციული, მით უმეტეს მაშინ, როცა ირანული გაზი ვერ გაუწევს კონკურენციას თავისი მოცულობითა და ფასით აზერბაიჯანულს.



ექსპერტების შეფასებით, თეირანი რეაგირებს იმ ცვლილებებზე, რომლებიც რეგიონში მიმდინარეობს. საუდის არაბეთთან ირანის დაპირისპირებიდან გამომდინარე, ირანი თავის მომავალ პოლიტიკას აგებს არა არაბულ სამყაროსთან, არამედ, სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობებზე. კავკასია ირანისათვის შედარებით უსაფრთხო ზურგი იქნება, სადაც შესაძლებელია ეკონომიკური პროექტების განხორციელება.

ირანის ამ გეგმით ირანი ხდება სპარსეთის ყურის შავ ზღვასთან დამაკავშირებელი დერეფნის რგოლი. ექსპერტების მტკიცებით, იზრდება საქართველოს როლიც. თბილისი გამოვა არა აზერბაიჯანისა და თურქეთის გეოპოლიტიკური დანამატი, არამედ, დამოუკიდებელი რეგიონული მოთამაშე.

ამასთან, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საქართველო ამ პროექტში ჩაბმას ვერ გაბედავს იმის გამო, რომ პრეზიდენტი ტრამპი თავის მოკავშირეებს ირანის წინააღმდეგ გაერთიანებისაკენ მოუწოდებს.

დაძაბულობაა ახლო აღმოსავლეთის მთელ რეგიონში. დასავლური მედიის შეფასებით, პუტინმა სირიაში გამარჯვება გამოაცხადა, რაც არასწორია. იქ საომარი მოქმედებები გრძელდება. ამ დღეებში რუსეთს მოუხდა თავდასხმების მოგერიება თავის ობიექტებზე სირიაში. კრემლმა განაცხადა, რომ ტერორისტებს აქვთ წვდომა უპილოტო თვითმფრინავებზე. ბოლო მონაცემებით, დრონებით განხორციელებული იერიში სირიის ერთ-ერთ ოპოზიციურ ჯგუფთან ასოცირდება. ეს ოპოზიცია ალავიტებს წარმოადგენს, რომლებიც ასადის კლანს გაუნაწყენდნენ.

# ფაროსანასთან ბრძოლა ქართულად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტმა და ბიოტექნოლოგიების ცენტრმა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ბიოპრეპარატი შექმნა. როგორც პროფესორი არჩილ ჭირაქაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, პრეპარატის ეფექტურობა დაახლოებით 90%-ია.



– შევქმენით ბიოპრეპარატი პირობითი სახელით №6. სუფთა მცენარეული წარმოშობის პრეპარატია, რომელშიც სინთეტიკური ჯგუფები არ არის. ბუნებაში არის ბევრი მცენარე, რომელსაც აზიური ფაროსანა არ ეკარება და სწორედ ამ მცენარეებიდან ამოღებული ექსტრაქტებით დამზადდა. ლაბორატორიულ პირობეში გამოვცადეთ და ფაროსანას ლეტალობა იმ პრეპარატის (ბიფენტრინი) ლეტალობას გაუტოლდა, რომლითაც ფაროსანას ებრძვიან. ჩვენი ბიოპრეპარატი ეფექტიანობა 90%-ია. იგი გამოიყენება როგორც პრევენციის მიზნით, ასევე სამკურნალოდ. სანამ ფაროსანა გააქტიურდება, მანამდე მისი გამოყენება უფრო ეფექტიანია, – აცხადებს ჭირაქაძე.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ბიოპრეპარატის გამოყენება მოხდა, სახელმწიფოს ხარჯები აზიური ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად მნიშვნელოვნად შემცირდება: „გარდა ამისა, ეს იქნება ეფექტური საშუალება და საჭირო არ გახდება მისი განმეორებით მოხმარება“, – აღნიშნავს ჭირაქაძე.

ჭირაქაძის ინფორმაციით, პრეპარატის შექმნის იდეა წლებია აქვთ, თუმცა სახელმწიფო დონეზე მეცნიერთა წინადადებებს ამ დრომდე არ განიხილავდნენ. ამ ეტაპზე კი სოფლის მეურნეობის სამინისტრო სამეცნიერო წრეებთან აქტიურ შეხვედრებს მართავს.

არჩილ ჭირაქაძის თქმით, იმედი აქვთ, რომ ამჯერად სახელმწიფო დონეზე განიხილავენ მათ წინადადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სხვა ზომებს მიმართავენ.

– სამინისტროსთან ხშირად ვურთიერთობთ. თითქმის სამი წლის განმავლობაში ჩვენი აზრი, როგორც სამინისტროში, ასევე სურსათის ეროვნულ სააგენტოში არ გაითვალისწინეს. ჩვენს წინადადებებს გამოძახილი არ ჰქონია. ბოლო პერიოდში კი მინისტრის მოადგილეს იური ნოზაძეს შევხვდით და იმედი გაგვიჩნდა, რომ სამინისტროს მხრიდან ახლა მაინც იქნება ინტერესი. წინადადებებს კვლავ მივაწოდებთ და გვგონია, რომ გაამართლებს. თუ ისევ არ წამოვიდა მათგან პასუხი, უკვე სხვა ზომებს მივმართავთ, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებს, – აცხადებს არჩილ ჭირაქაძე.

მისივე თქმით, პრეპარატი ჯერ გაყიდვაში არ არის, სანამ არ დარეგისტრირდება: „სახელმწიფოსგან შემდგომ ნაბიჯებს ველოდებით და იმედი გვაქვს, დაფინანსებას მივიღებთ, წარმოებამდე და გაყიდვამდე რომ მივიდეთ“, – აღნიშნავს ჭირაქაძე.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს აზიურმა ფაროსანამ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, განსაკუთრებით თხილსა და მანდარინს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. 2016 წელს მავნებელმა მეთხილეობის დარგი 50-60 მილიონი ლარით დააზარალა, გასული წლის დაზუსტებული მონაცემები კი ჯერჯერობით არ არსებობს.

რაც შეეხება მომავალ წელს, სოფლის მეურნეობის მინისტრის ლევან დავითაშვილის ინფორმაციით, 2018 წელს აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ მილიონ ჰექტრამდე ფართობი შეიწამლება. საერთო ჯამში კი მომავალ წელს მავნებლის საწინააღმდეგოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 49 მილიონი ლარი გამოიყოფა, რომელიც შესაწამლი პრეპარატებისა და შესაბამისი ტექნიკის შეძენას უნდა მოხმარდეს.

ამასთან, მინისტრის ინფორმაციით, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდების შემუშავების პროცესში, სამინისტრო მზად არის მომავალშიც ითანამშრომლოს ყველა კომპეტენტურ მხარესთან, მათ შორის, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ მეცნიერებთან. სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში შექმნილია სამუშაო-საკონსულტაციო ჯგუფი და უწყება მზად არის, წარმოდგენის შემთხვევაში განიხილოს ახალი წინადადებები მავნებელთან ბრძოლის მეთოდების შესახებ.

# „სადაზღვევო სექტორი საინტერესო ხდება“

ჩინური „ჰუალინგ ჯგუფი“ სადაზღვევო ბაზრით დაინტერესდა. „ჰუალინგ დაზღვევა“ 2017 წლის 27 დეკემბრიდან იგი უკვე ფლობს „სიცოცხლის დაზღვევისა და დაზღვევის (არასიცოცხლისა)“ სახეების საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელ ლიცენზიებს. „ჰუალინგ დაზღვევის“ აქციების 100%-ის მფლობელი ს.ს „ბაზისბანკია“, რომელიც ასევე „ჰუალინგ ჯგუფის“ წევრია.

ფინანსური მომსახურების ახალ სეგმენტში შესვლასთან დაკავშირებით „ბაზისბანკში“ აცხადებენ, რომ „ჰუალინგდაზღვევა“ ამბიციური გეგმებით აპირებს ბაზარზე ოპერირების დაწყებას.

– აქტიური ოპერირება 2018 წლის მეორე კვარტლიდან დაიწყება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს „ჰუალინგ დაზღვევის“ სადაზღვევო სტრატეგიის შესაბამისად კონკრეტული პროდუქტების შემუშავების პროცესი. კომპანიის მთავარი მიზანია, დაამკვიდროს მომსახურების გამორჩეული სტანდარტი მომხმარებელთან ინდივიდუალური მიდგომისა და მასზე მორგებული სადაზღვევო პროდუქტების შექმნის გზით. ეს უზრუნველყოფს მომხმარებელთან გრძელვადიანი, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის დამყარებას, – აღნიშნავენ „ბაზისბანკში“.

როგორც დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე სულამანიძემ „ბანკები და ფინანსებთან“ კომენტარისას აღნიშნა, ბაზარზე „ჰუალინგ დაზღვევის“ შემოსვლა ნათელი მაგალითია იმისა, რომ სადაზღვევო სფეროში საქმიანობა სულ უფრო საინტერესო ხდება მსხვილი ფინანსური ჯგუფებისთვის.

– მსხვილი ფინანსური ჯგუფების მხრიდან სადაზღვევო სფეროთი დაინტერესებას მივესალმებით. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში სექტორში ოპერირების დაწყების სურვილით მომართვიანობა გაიზრდება. ამ პროცესს ხელი შეუწყო ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მთელმა რიგმა საკანონმდებლო ცვლილებებმა, კერძოდ, იმან, რომ უკვე 2018 წლიდან ძალაში შევიდა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა უცხოური სანომრე ნიშნით მოძრავი ტრანსპორტის მფლობელთათვის, ასევე ამოქმედდა ბაზრობების, სავაჭრო ცენტრების, ავტოგასამართი სადგურებისა და სასტუმროების მფლობელთა სავალდებულო დაზღვევა მესამე პირთა ქონების მიმართ. ვმუშაობთ, რომ 2019 წლიდან ამოქმედდეს პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა უკვე საქართველოში რეგისტრირებული ყველა სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან მიმართებით. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, სინერგიის ეფექტს იწვევს და ბაზარს საინტერესოს ხდის, – აცხადებს სულამანიძე.

მისი თქმით, მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობების დაზღვევის სავალდებულოობა სოციალური რისკების უკეთ დარეგულირებას შეუწყობს ხელს.



– სადღეისოდ საქართველოში დაზღვევის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 1,15 %-ია. სავალდებულო დაზღვევების შემოტანასთან ერთად და მოსალოდნელ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, 4-წლიან პერსპექტივაში ამ მაჩვენებელმა 1,7%-ს უნდა გადააჭარბოს და 1-მილიარდიან ბაზარს მიაღწიოს, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელი იქნება, მით უფრო, რომ ამ პროგნოზისას ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასაც ვითვალისწინებთ, – აღნიშნავს სულამანიძე.

# საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 43,4%-ით გაიზარდა

2017 წელს საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადი 43.43%-ით გაიზარდა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, გასული, 2017 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტების მიერ, რეგულარული და ჩარტერული რეისების შედეგად გადაყვანილ იქნა 4.073.959 მგზავრი, რაც 43.43%-ით აღემატება 2016 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას (2 840 455 მგზავრი).

2017 წელს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 3.164.139 მგზავრს მოემსახურა, რაც 40.47%-ით (911.604 მგზავრით) მეტია, ვიდრე 2016 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა (2.252.535 მგზავრი).



ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით 495.668 მგზავრი იქნა გადაყვანილი, რაც 58.69%-ით (183.325 მგზავრით) მეტია 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (312.343 მგზავრი).

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 49.31%-ით გაიზარდა. სულ გადაყვანილ იქნა 405.173 მგზავრი – 133.810 მგზავრით მეტი, ვიდრე 2016 წელს.

რაც შეეხება ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს, მესტია 2017 წლის განმავლობაში 7.256 მგზავრს მოემსახურა, რაც 3.042 მგზავრით, შესაბამისად, 72.19%-ით მეტია ვიდრე 2016 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა (4.214). ამბროლაურის აეროპორტმა 2017 წელს პირველად მიიღო მგზავრები და მათი რაოდენობა 1.723 ადამიანს შეადგენდა.

2017 წლის განმავლობაში საქართველოს აეროპორტებში 5.637 რეისით მეტი განხორციელდა, ვიდრე 2016 წელს. მონაცემები ასე გამოიყურება: სამგზავრო და სატვირთო რეისების რაოდენობა სულ – 20.955, აქედან რეგულარული რეისების რაოდენობაა 17.852, ხოლო ჩარტერების 3.103. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელებული რეისების რაოდენობასთან შედარებით, ზრდა 36.80%-ს შეადგენს.

12.60%-ით იმატა საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების მაჩვენებელმა. 2016 წელს ერთეული გადაფრენების რაოდენობა იყო 128.446, ხოლო გასულ წელს საქართველოს საჰაერო სივრცეში 144.626 ერთეული გადაფრენა დაფიქსირდა.

# საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი 662 მილიონი დოლარით გაიზარდა




2017 წელი საქართველომ 5.177 მილიარდი დოლარის საგარეო ვალით დაასრულა. ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, დეკემბერში ვალის მოცულობა 114.1 მილიონი დოლარით გაიზარდა, წლის განმავლობაში კი ვალის მოცულობა 662 მილიონი დოლარით არის მომატებული. 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალი 4,515 მილიარდი დოლარი იყო.

ამასთან, სამინისტროს მონაცემებით, მთავრობის საგარეო ვალი 5,091 მლრდ დოლარს შეადგენს, საიდანაც მრავალმხრივი კრედიტორების დავალიანება 3,765 მლრდ დოლარია. ორმხრივი კრედიტორების დავალიანება კი 824,8 მილიონი დოლარი.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ეროვნული ბანკის ვალი 85,4 მილიონ დოლარს შეადგენს, ფასიანი ქაღალდების – 500 მლნ დოლარს, გარანტირებული კრედიტებზე დავალიანება კი 2,079 მლნ დოლარია.

2017 წლის დეკემბერში ძირითადი ვალის დაფარვისთვის 35,7 მილიონი დოლარი მიემართა, საპროცენტო ხარჯი კი 8,5 მილიონზე მეტი იყო.

# გამომცემლობა „სამშობლოს“ ყოფილ შენობაში სასტუმრო „სტამბა“ იანვრის ბოლოს გაიხსნება

გამომცემლობა „სამშობლოს“ ყოფილ შენობაში სასტუმროს ახალი ქართული ბრენდი „სტამბა“ იანვრის ბოლოს გაიხსნება.

ამის შესახებ „კომერსანტს“ Adjara Group Hospitality-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ვალერი ჩეხერიამ განუცხადა.

როგორც უკვე ცნობილია, სასტუმრო InterContinental-ის ნაცვლად Adjara Group Hospitality სრულიად განსხვავებულ ახალ ქართულ ბრენდს „სტამბას“ ქმნის, რომელიც Rooms Hotel-ის დიზაინის მსგავსი იქნება.



ვალერი ჩეხერიას განცხადებით, სასტუმროს ექსპლუატაციაში შესვლა 2 ეტაპად მოხდება, კერძოდ, 2018 წლის იანვარში გაიხსნება „სტამბის“ 45 ნომერი, ხოლო უკვე 2018 წლის ბოლოს – მეორე ნაწილი. სულ სასტუმროში 160 ნომერი განთავსდება. მისივე თქმით, სასტუმროში საკონფერენციო დარბაზი, საგამოფენო სივრცეები და სპა ცენტრები განთავსდება.

სასტუმროს დასრულების შემდგომ მის მშენებლობასა და განვითარებაში საბოლოოდ 30-32 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება. ამ ეტაპზე კი 20 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია უკვე განხორციელდა.

როგორც ვალერი ჩეხერია აცხადებს, სასტუმროში Adjara Group Hospitality-ს ბრენდის ქვეშ შემავალი ასევე ქართული ბრენდი კაზინო „ავიატორი“ შევა და ის სასტუმროს პირველი ნაწილის გახსნისთანავე ამოქმედდება. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის თქმით, კაზინო ქართული რეალობისგან სრულიად განსხვავებული კონცეფციის იქნება.

– სასტუმროში ქართული ბრენდი კაზინო „ავიატორი“ შევა და ის ჩვენი მმართველობის ქვეშ იქნება. დიზაინზე და მის განვითარებაზე ჩვენი გუნდი ზრუნავს. კაზინო 800 კვადრატულ მეტრზე განთავსდება. ეს იქნება თანამედროვე ქვეყნის თანამედროვე სახე, ისეთი მასშტაბის როგორიც ლას ვეგასში, ლონდონში, ან გერმანიაში გვინახავს. სრულიად განსხვავდება ქართული რეალობისგან. ეს იქნება გამჭვირვალე, გასართობი სივრცე, – აღნიშნა ჩეხერიამ.

შეგახსენებთ, რომ კოსტავას 14 ნომერში, გამომცემლობა „სამშობლოს ყოფილი შენობა „აჭარა ჯგუფი“ 2011 წელს, პირდაპირი მიყიდვის წესით 9 მილიონ დოლარად შეიძინა. მოგვიანებით აღნიშნულ შენობაში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს InterContinental-ის მშენებლობა დაიწყო, თუმცა 2017 წელს ვალერი ჩეხერიამ „კომერსანტს“ განუცხადა, რომ სასტუმრო InterContinental-ის ნაცვლად Adjara Group Hospitality წლის ბოლოს „სტამბას“ სახელწოდებით ახალ ქართულ ბრენდს შექმნიდა.

# აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ლევან მაისურაძემ თანამდებობა დატოვა



აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა ლევან მაისურაძემ თანამდებობა დატოვა. აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

როდის დაწერა ლევან მაისურაძემ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება, უწყებაში არ აკონკრეტებენ.

ლევან მაისურაძემ აღნიშნულ თანამდებობაზე რამდენიმე თვის წინ კახაბერ ბუხრაძე ჩაანაცვლა, რომლის წინააღმდეგაც მოქალაქეებმა 2017 წლის 11-12 მარტს თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს.

# პანკისში სპეცოპერაციისას დაკავებულ ზურაბ იდოიძეს პატიმრობა მიუსაჯეს



თბილისის საქალაქო სასამართლომ ტერორიზმის საქმიანობის მხარდაჭერაში ბრალდებულ ზურაბ იდოიძეს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს და ბრალს არ აღიარებს.

იდოიძეს სუსი ტერორიზმის ხელშეწყობაში ადანაშაულებს. მას ახმედ ჩატაევის თურქეთ-საქართველოს საზღვრამდე – კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე მიიყვანა ედება ბრალად.

# მარნეულში 18 წლის გოგო მოიტაცეს

მარნეულში 18 წლის გოგო მოიტაცეს. როგორც „ინფო რუსთავი“ იტყობინება, მამაკაცმა გოგონა ცოლად მოყვანის მიზნით მოიტაცა, თუმცა გოგოს მშობლები წინააღმდეგები არიან, რომ მათმა შვილმა ამ მამაკაცთან შექმნას ოჯახი, რის გამოც ფაქტი პოლიციას აცნობეს.

შსს-ს ცნობით, მამაკაცი, რომელმაც გოგო მოიტაცა, იდენტიფიცირებულია და მიმდინარეობს შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები. ფაქტთან დაკავშირებით საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით დაიწყო, რაც თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას გულისხმობს.

# ბათუმში ხანძრის შედეგად ახალგაზრდა დაშავდა

ბათუმში, ლერმონტოვის 107 ნომერში, ხუთ სართულიანი კორპუსის ბოლო სართულზე, ცეცხლი გაჩნდა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა ახალგაზრდა, რომელმაც მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

ხანძარი ამ დროისთვის ლიკვიდირებულია. ცეცხლის გამომწვევი მიზეზები კი უცნობია.




# იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 34 კანდიდატი მოსამართლის თანამდებობაზე განამწესა

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 34 კანდიდატი მოსამართლის თანამდებობაზე განამწესა, მათგან 15 კანდიდატი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსწავლე, რომლებმაც მოსამართლის მანტია სამწლიანი გამოსაცდელი ვადით მოირგეს, დანარჩენი 19 მოსამართლე კი უვადოდ განწესდა.

საერთო ჯამში კი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლეობის მსურველ 57 კანდიდატს უყარა კენჭი.

კენჭისყრის დასრულების შემდეგ იუსტიციის საბჭოს მდივანმა უპასუხა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტის ოლიკო შერმადინის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც მოსამართლეთა კენჭისყრის პროცესი წინასწარ შეთანხმებული გადაწყვეტილებების ფონზე მიმდინარეობდა. ასევე შერმადინის თქმით, კანდიდატთა ნაწილმა გასაუბრების დახურვა მოითხოვა, რაც კითხვებს აჩენს.

იუსტიციის საბჭოს მდივანმა გიორგი მიქაუტაძემ მესამე სექტორის წევრის ამ განცხადებას უსაფუძვლო უწოდა და განმარტა, რომ გასაუბრების ფორმატს კანდიდატები თვითონ არჩევენ.

– ამ შენიშვნას საფუძველი ნამდვილად არ აქვს, იმიტომ რომ გასაუბრება ღია თუ დახურულ ფორმატში ჩატარდება, ეს არის კანდიდატის გადასაწყვეტი. ამიტომ ამ პროცესში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არანაირი წვლილი არ მიუძღვის, ანუ საბჭოს არ შეუძლია მოსთხოვოს კანდიდატს, რომ აირჩიოს ღია თუ დახურული ფორმატი, შესაბამისად, ამას კანდიდატები თავად წყვეტენ და ეს არის აბსოლუტურად მათზე დამოკიდებული პროცესი, – განაცხადა მიქაუტაძემ.

გიორგი მიქაუტაძემ ასევე უპასუხა შერმადინის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვით „საბჭოს მოსამართლე წევრებთან დაახლოებული“ ერთ-ერთი კანდიდატი, კერძოდ კი, საბჭოს მდივნის მეუღლე მაია კვირიკაშვილი მოსამართლედ განწესდა სამწლიანი გამოსაცდელი ვადით.

– ჩემი მეუღლის მიმართ მიმდინარე პროცესებში მე ნამდვილად არ ჩავრეულვარ. მონაწილეობა არ მიმიღია არც შეფასებაში, არც გასაუბრებასა და არც კენჭისყრაში, – განაცხადა მიქაუტაძემ.

რაც შეეხება კანდიდატ გიორგი არევაძეს, რომელმაც უვადო მოსამართლის განწესების თაობაზე იუსტიციის საბჭოდან საკუთარი განაცხადი ერთი დღით ადრე უკან გაიტანა,



რას შეიძლება უკავშირდებოდეს ეს, საბჭოს მდივნისთვის ეს უცნობია. გიორგი მიქაუტაძის განცხადებით, განაცხადის უკან გატანის შემდეგ არევაძესთან კომუნიკაცია არ ჰქონია.

– მარტო გიორგი არევაძეს არ გაუტანია განცხადება. იყვნენ სხვა კანდიდატები, რომლებმაც განცხადებით მიმართეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვეს, რომ მათი განცხადება განუხილველი დარჩენილიყო. ეს მათი უფლება არის. ამ შემთხვევაში ეს მათგან დასაბუთებას არ ითხოვს, – განაცხადა გიორგი მიქაუტაძემ.

# რატომ შეწყდა პოლიციელთა მიმართ აღძრული საქმე

ნუცუბიძის ფერდობზე პოლიციის მიერ დაკავებისას გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის მიმართ პოლიციელების მხრიდან შესაძლო უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე დაწყებული გამოძიება შეწყდება.

– დასკვნაში წერია, რომ მასალები დამონტაჟებული არაა და ასევე კამერებიდან არ მომხდარა რაიმეს წაშლა. შესაბამისად, დგინდება, რომ პავლიაშვილის დაკავებისა და იმ ტრაგიკული შემთხვევის ამსახველი ვიდეო არ არსებობს. პროკურატურამ რა საგამოძიებო მოქმედებებიც ჩაატარა, იმის შედეგად სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი არ იკვეთება და, შესაბამისად, ალ-



ბათ პროკურატურა საქმეს უახლოეს დღეებში შეწყვეტს. ჩვენ ნამდვილად არ გვაქვს პრეტენზია პროკურატურასთან, ვინაიდან რაც საჭირო იყო, მათ ყველა ღონისძიება გაატარეს, თუმცა, ჩვენ ნამდვილად გვაქვს პრეტენზია პოლიციელებთან და საქმის შეწყვეტის მიუხედავად, შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ უნდა მოახდინოს მინიმუმ სამსახურებრივი შემოწმება, რათა დადგინდეს, რა მოხდეს რეალურად და რატომ არ მოხდა ამ ყველაფრის გადაღება, ვინაიდან პოლიციელი ვალდებულია, განახორციელოს ჩაწერა. საზოგადოებამ და პირველ რიგში ოჯახმა კვლავ არ იცის, რა მოხდა, – აცხადებს ადვოკატი ლევან ვეფხვაძე.

# 18 წლის ბიჭის ცემაში ბრალდებულ პოლიციელებს პატიმრობა შეეფარდათ

18 წლის რობერტ ლონლაძის ცემაში ბრალდებულ პოლიციელებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გუშინ გამოაცხადა.

სასამართლო სხდომა ბრალდების მხარესა და დაკავებულებს შორის სიტყვიერი შელაპარაკების ფონზე მიმდინარეობდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, პოლიციელების საქმის არსებითი განხილვა 27 თებერვალს დაიწყება.

რუსთავის პოლიციის მეორე განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლები დააკავეს. მთავარი საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, პოლიციის თანამშრომლებს ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედებათ.

პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2017 წლის 12 ნოემბერს სამართალდამცველებმა მოქალაქეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ბრალდებულები ძალის გადამეტებას უარყოფენ.



# უაქციზო სასმელების შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე 1 პირი დააკავეს

საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო საქონლის შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული დიდი ოდენობით აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-გადაზიდვა-რეალიზაციის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს.




გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ქალაქ რუსთავში დიდი ოდენობით სხვადასხვა დასახელების ალკოჰოლური სასმელის რეალიზაციას შესაბამისი აქციზური მარკის გარეშე ახდენდა.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია უაქციზო სასმელები.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მეორე ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით, – აღნიშნულია საგამოძიებო სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# რუსთავში ახალგაზრდა მამაკაცმა თვითმკვლელობის მიზნით ვენები გადაიჭრა

რუსთავში, ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში, 30 წლამდე მამაკაცმა თვითმკვლელობის მიზნით ვენები გადაიჭრა.

დაშავებული სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით დაიწყო, რაც ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.




# ნარკოდანაშაულისთვის ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამეგრელოში ნარკოდანაშაული გახსნა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1970 წელს დაბადებული ჯ.თ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.



სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 7 შეკვრად დაფასოებული კოკაინი და 14 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით“, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# სენატორი კარდინი: „პუტინმა დასავლურ დემოკრატიას ომი გამოუცხადა“



რუსეთის აგრესიული პოლიტიკა დემოკრატიული სამყაროს შეშფოთებას იწვევს. სენატორმა დემოკრატმა კადრინმა ამას 200-გვერდიანი ანალიტიკური მოხსენება მიუძღვნა. მასში დეტალურადაა გაანალიზებული რუსეთის აგრესიის მიზეზები, აგრეთვე საშუალებები, რომლებსაც მოსკოვი იყენებს. კარდინმა ჩამოთვალა შედეგები, რომლებსაც რუსეთის აგრესიული პოლიტიკა აშშ-ს მოუტანს.

სენატორი აცხადებს, რომ პუტინმა ახალი დემოკრატიული რუსეთის მშენებლობა ვერ შეძლო. ვერც კორუფციის, ვერც ეკონომიკური კრიზისის დაძლევა ვერ მოხერხდა. ამან, ბუნებრივია, მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. პუტინმა ნაცად იარაღს, ავტორიტარიზმსა და ველიკოდერჟავულ შოვინიზმს მიმართა. აქაოდა, მთელმა მსოფლიომ, აშშ-ის მეთაურობით, ჩვენ წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო; სსრკ ამერიკამ დაშალა, ახლა რსფსრ-ს დანგრევა სურთ და რა დროს დემოკრატიაა, ყველანი ერთი კაცის, ანუ პუტინის გარშემო უნდა დავირაზმოთო.

– ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის თეორია ახალი არაა. თავის დროზე ლენინი და სტალინი ამას ოსტატურად იყენებდნენ. პუტინმაც ხელისუფლება ასეთ ტალღაზე შეინარჩუნა! – წერს კარდინი.

სენატორი ხაზს უსვამს, რომ რუსეთი ძირითადად იმ საშუალებებს იყენებს, რომლებსაც სსრკ იყენებდა: დეზინფორმაცია, აგრესიული პროპაგანდა, ძალისმიერი ზეწოლა, ენერგოშანტაჟი, სახელმწიფო გადატრიალებები, პოლიტიკოსების მოსყიდვა. მიზანი იგივეა, რაც სსრკ-ს დროს იყო: დასავლური დემოკრატიის დისკრედიტაცია, აშშ-ის გავლენის დაცემა, დემოკრატიული სისტემის დემონტაჟი.

თუკი კომუნისტების დროს აქცენტი მემარცხენე ძალებზე კეთდებოდა, ახლა ფსონს მემარჯვენე ექსტრემისტებზე დებენ (ნაციონალური ფრონტი საფრანგეთში, მემარჯვენე-პოპულისტური ძალები გერმანიასა და იტალიაში და ა.შ.). ბულგარეთში პოლიტიკოსები მოისყიდეს, ჩერნოგორიაში გადატრიალების მოწყობა ცადეს. ერთად-ერთი სიახლე, რომელიც რუსების არსენალში გაჩნდა, კიბერშეტევებია. სწორედ ამის მეშვეობით ცადა რუსეთმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში, ასევე საფრანგეთისა და გერმანიის არჩევნებში ჩარევა.

ცხადია ისიც, რომ დღევანდელი რუსეთი ბევრად სუსტია, ვიდრე სსრკ. ეს თანაბრად შეეხება როგორც ეკონომიკას, ისე სამხედრო სფეროს. ამიტომაც რუსეთი დამარცხდა სირიაში, ვერ დაძლია უკრაინელთა წინააღმდეგობა დონბასში. რუსეთის უზარმაზარი ეკონომიკაც ჩამოშლის პირასაა.

– მიუხედავად ამისა, უმოქმედობა დაუშვებელია. თუ რუსეთის აქტიურობას არაფერი დავუპირისპირეთ, აშშ-ის პოზიციები როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასევე ევროპასა და მთელ მსოფლიოში შეირყევა, – თვლის კარდინი.

რუსეთი უნდა აიძულონ, უკან დაიხიოს. მის წინააღმდეგ მხოლოდ სანქციების შემოღება არ კმარა. აუცილებელია კონკრეტული სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება.

კარდინმა შენიშნა, რომ, სამწუხაროდ, ბატონ ტრამპს ეს არ ესმის და კვლავაც უმოქმედობას იჩენს.

– როგორც ჩანს, ჩვენს პრეზიდენტს ჯერ კიდევ აქვს ილუზია, რომ რუსეთთან საერთო ენის გამოძებნა მოხერხდება. პუტინის რუსეთმა დასავლურ დემოკრატიას ომი გამოუცხადა. ამიტომ მასთან დიალოგი შეუძლებელია, – ამბობს კარდინი.

# მოლდოვაში ახალი მინისტრები დანიშნეს და რუსული ახალი ამბების ტრანსლირება აკრძალეს

მოლდოვის პრემიერმა პავლე ფილიპმა პრეზიდენტ დოდონის ნების საწინააღმდეგოდ შვიდი ახალი მინისტრის დანიშვნას ხელი მოაწერა.

ფილიპს პირადად პუტინი დაუკავშირდა და ასეთი რადიკალური ნაბიჯისაგან თავის შეკავება ურჩია. ფილიპი თითქოს თანახმა იყო, რომ დოდონთან ერთგვარი გარიგებისათვის მიეღწია: შვიდი ახალი მინისტრიდან სამი დოდონის მომხრე იქნებოდა, სამი – პრემიერის, ერთი კი – ნეიტრალური; სანაცვლოდ დოდონი მათ დაამტკიცებდა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლო გააუქმებდა გადაწყვეტილებას პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.



ამ გარიგების შესახებ დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერ მაია სანდუსთვის გახდა ცნობილი. ფილიპიც იძულებული გახდა, უკან დაეხია. მან შვიდივე მინისტრის დანიშვნას მოაწერა ხელი. იმის გამო, რომ დოდონს უფლებამოსილება შეუჩერეს, ახალი მინისტრების დანიშვნას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა, პარლამენტის თავმჯდომარე კანდუმ მოაწერა ხელი.

– რაც მოხდა, სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფო გადატრიალება, – ასე შეაფასა მომხდარი აწ უკვე გადაყენებულმა პრეზიდენტმა დოდონმა.

პარალელურად, პრემიერმა ფილიპმა ხელი მოაწერა განკარგულებას რუსული ახალი ამბების ტრანსლირების აკრძალვის შესახებ. მოლდოვის პარლამენტმა მიიღო დადგენილება რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის თაობაზე.

ყველა მოელოდა, რომ პრემიერი ყველა რუსული არხის ტრანსლაციას აკრძალავდა. ეს არ მოხდა. მოლდოვის პრემიერმა მხოლოდ ახალი ამბების ტრანსლირება აკრძალა.

# იგორ სმეშკო: „დონბასიც და ყირიმიც უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება“



უკრაინის უშიშროების სამსახურისა და სამხედრო დაზვერვის ექსშეფმა, გენერალმა იგორ სმეშკომ განაცხადა, რომ რუსეთის ყველა მცდელობა, იმპერია აღადგინოს, კრახისთვისაა განწირული.

– მართალია, პუტინმა ამ საქმეში დიდძალი თანხა ჩადო, მაგრამ ეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან ძირეულ წინააღმდეგობაში მოდის. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ იმპერიის აღდგენა ყოფილი სსრკ-ის ხალხთაგან არავის სურს, – თქვა სმეშკომ.

გენერალმა ხაზი გაუსვა, რომ როგორც დონბასი, ასევე ყირიმი უკრაინას აუცილებლად დაუბრუნდება. ამის თავდებია როგორც უკრაინული არმიის ბრძოლისუნარიანობა, რომელიც დონბასის ფრონტზე წარმოჩნდა, ასევე გლობალური პროცესებიც.

– ყირიმი და დონბასი აუცილებლად დაგვიბრუნდება. როდის? ეს დამოკიდებულია როგორც გლობალურ, ასევე უკრაინის შიგნით მიმდინარე პროცესებზე, – ამბობს სმეშკო.



# ნორვეგიის პრემიერი ვაშინგტონს ეწვევა

ნორვეგიის პრემიერი ერნა სულბერგი ვაშინგტონს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. ის პრეზიდენტ ტრამპს შეხვდება. მოლაპარაკების ძირითადი თემა აშშ-ნორვეგიას შორის ურთიერთობები იქნება.

ნორვეგია თავის ტერიტორიაზე ამერიკელი საზღვაო ქვეითების განთავსებას დათანხმდა. ტრამპისა და სულბერგის მოლაპარაკებებისას უდიდესი ყურადღება აშშ- ნორვეგიას შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა იქნება.

# მოსკოვში პუტინის წინასაარჩევნო შტაბი გაიხსნა

მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის წინასაარჩევნო შტაბი გაიხსნა. მის ხელმძღვანელობაში შევიდნენ კამაზის გენერალური დირექტორი სერგეი კოგოტკინი, საბავშვო ცენტრ სირიუსის ხელმძღვანელი ელენე შმელიოვა, საბავშვო ონკოლოგიური ცენტრის დირექტორი ალექსანდრე რუმიანცევი.

შტაბის პრესმდივანი ჟურნალისტი ანდრეი კონდრაშოვი იქნება, ავტორი ფილმისა „ყირიმი – გზა სამშობლოსაკენ,“ სადაც ყირიმის ოკუპაცია-ანექსიაა ხოტბაშესხმული.




10 იანვარს პუტინი თავის შტაბს ეწვია, ვოლონტიორებს გაესაუბრა, ჟურნალისტებთან კი განაცხადა:

– დარწმუნებული ვარ, რომ გავიმარჯვებ!

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროებათანამშრომელიოფისშისამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევადამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართაპრობლემების:კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ფაჩულია შედეგიანობით მხოლოდ დურანტს ჩამორჩა



ზაზა ფაჩულიამ მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. გოლდენ სტეიტმა ლოს ანჯელეს კლიპერსს უმასპინძლა და ოკლენდელთაგან მეორე ბომბარდირი ქართველი ცენტრი გახდა. ბომბარდირმა კევინ დიურანტმა კი 40 ქულა მოინაგრა.

მიუხედავად „დურანტულას" შედეგიანი გარჯისა, გოლდენ სტეიტმა ეს მატჩი წააგო – 106:125, რისი მიზეზიც ლოსანჯელესელთა მსროლელი ლოუ უილიამსი გახლდათ. კლიპერსის ლიდერმა 50 ქულა მოაგროვა, რითაც ლიგის ლიდერ უორიორზს მოგების შანსი მოუსპო. ფაჩულიამ სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე მხოლოდ 15 წუთი დაჰყო, მან 12 ქულა, 4 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ზაზამ 6-დან 4 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო.

შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღიათ კლეი ტომპსონსა და სტეფ კარის. დიურანტის 40 და ფაჩულიას 12 ქულის შემდეგ ოკლენდელთაგან ყველაზე მეტი, 9 ქულა, ანდრე იგუდალამ მოაგროვა.

33 მოგებითა და 9 წაგებით გოლდენ სტეიტი როგორც დასავლეთ კონფერენციას, ისე სრულიად ლიგას ლიდერობს. შემდეგი მატჩი ოკლენდელებს მილუოკიში ბაქსთან ელით.

მანუჩარ მარკოიშვილის რეჯიო ემილია ევროთასის გასვლით მატჩში ბრძოლაში დამარცხდა. იტალიურმა კლუბმა ევროპაში რანგით მეორე საერთაშორისო ტურნირის ტოპ-16-ში ასპარეზობა წარმატებით დაიწყო. ემილიელებმა შინ ფრანგულ ლიმოჟს 20 ქულით სძლიეს, ხოლო გუშინ ასევე ფრანგულ ვილერბანთან ბრძოლაში – 64:68 წააგეს.

ევროთასის მეორე ჯგუფური ეტაპის მეორე ტური ტურის მატჩი რეჯიო ემილიამ ლიონში გამართა, სადაც ბოლომდე ებრძოლა ტონი პარკერის გუნდს, რომელიც მომავალ წელს ევროლიგაში ითამაშებს. ქართველი უკანახაზელი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 24 წუთი გაატარა. მანუჩარმა 7-დან 3 სამქულიანი და 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 11 ქულასთან ერთად მარკოიშვილმა 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

თითო მოგებ-წაგებით 3-გუნდიან ჯგუფში რეჯიო ემილია მეორე ადგილზეა. პირველზე დაუმარცხებელი რუსული უნიკსია, რომელსაც მომდევნო ტურში მარკოიშვილის გუნდი ყაზანში შეხვდება.

# მანჩესტერი: ბელოტი იბრაჰიმოვიჩის ნაცვლად?

მანჩესტერ იუნაიტედი ზლატან იბრაჰიმოვიჩის შემცვლელის ძიებაშია, ვინაიდან შვედმა, შესაძლოა, კლუბი დატოვოს.

იბრაჰიმოვიჩს მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, მაგრამ, გამორიცხული არ არის, რომ მან მანამდეც გამოძებნოს თავისთვის სხვა კლუბი, რომლის პოტენციური



მდებარეობაც აშშ-ში ან ჩინეთშია.

ჩინეთის სუპერლიგა და ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატი მარტში იწყება და კალენდარული წლის ბოლომდე გრძელდება, ამ ორივე ქვეყნის კლუბები კი აქტიურად ინტერესდებიან ზლატანით მისი სპორტული და კომერციული შესაძლებლობების გამო.

მიუხედავად იმისა, რომ იუნაიტედი არ აპირებს შვედთან ივნისის ბოლომდე გამოთხოვებას, კლუბი შესანიშნავად აცნობიერებს, რომ შეერთებულ შტატებსა და ჩინეთში ფეხბურთელის ფასი საგრძნობლად ძვირი იქნება.

რაც არ უნდა გადაწყვიტოს იბრაჰიმოვიჩმა სეზონის შუა პერიოდში, იუნაიტედში სჯერათ, რომ სკანდინაველი „ოლდ ტრაფორდზე" მესამე სეზონს აღარ გაატარებს. მისი შემცვლელის საპოვნელად კი იუნაიტედი სხვადასხვა სტრატეგიულ ნაბიჯს დგამს, რომელთაგან ერთ-ერთი თავდამსხმელის შეძენაა და ამგვარ კანდიდატად ანდრე ბელოტის მოიაზრებენ.

# ნემსაძემ 17-წლამდე ნაკრები შეკრიბა

ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდისთვის მზადების მორიგ ეტაპზე საქართველოს 17-წლამდე ნაკრებმა დღეიდან სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" შეკრება დაიწყო, 20 იანვარს კი ბელარუსში გაემგზავრება, სადაც 21-28 იანვარს მინსკის საერთაშორისო ტურნირი გაიმართება.

საქართველოს 17-წლამდე ნაკრები მესამე ჯგუფშია უკრაინასთან, ყაზახეთთან და მოლდოვასთან ერთად. გიორგი ნემსაძის გუნდი 22 იანვარს ყაზახეთს ეთამაშება, 23 იანვარს – მოლდოვას, ხოლო 25 იანვარს – უკრაინას. ამის შემდეგ კი ფლეი ოფები დაიწყება.

გიორგი ნემსაძემ 23 ფეხბურთელი გამოიძახა:

**მეკარეები:** ლუკა ხარშილაძე, ლუკა კუტალაძე (ორივე დინამო თბ);

**მცველები:** ივა გელაშვილი (სპარტა, ჩეხეთი), ზურაბ გიგაშვილი (ანკარაგიუჯუ, თურქეთი), გიორგი აბზიანიძე (ტორპედო), გოგა გოგოლაძე (რუსთავი), ზურაბ ჭავჭანიძე, ზურაბ ბაქრაძე, სანდრო კალანდაძე (ყველა დინამო თბ), შოთა ნონიკაშვილი, ცოტნე კაპანაძე (ორივე საბურთალო);

**ნახევარმცველები:** ანზორ მექვაბიშვილი, გიორგი მოისწრაფიშვილი, გიორგი შალიკაშვილი (ყველა დინამო თბ), ცოტნე ჩოთალიშვილი, თორნიკე ასკურავა, ლადო ჩიხლაძე (ყველა საბურთალო), აკაკი დეკანოსიძე (იმოლეზე, იტალია);

**თავდამსხმელები:** გიორგი იაკობიძე, ხვიჩა კვარაცხელია (ორივე დინამო თბ), ზურიკო დავითაშვილი (ლოკომოტივი), გიორგი გულიაშვილი (საბურთალო), გიორგი გაგუა (იბერია).

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ბათუმი მნიშვნელოვანი მატჩისთვის ემზადება

მოკლე ახალი წელი გამოუვიდა საქართველოს ვიცეჩემპიონ ბათუმს. ზღვისპირელები 3 იანვარს ევროპული რაგბის კონტინენტის ფარის ფლეი ოფისთვის მზადებას შეუდგნენ. მეოთხედფინალში ბათუმელთა მეტოქე რუმინეთის ჩემპიონი ტიმიშოარა-სარასენსია, რომელსაც ჩვენმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში მშობლიურ „რაგბი არენაზე" 20:17 სძლია.



ფლეი ოფი ორრაუნდიანია და ნახევარფინალში 2 მატჩის ჯამში გამარჯვებული გუნდი გადის. პირველი შეხვედრა 13 იანვარს ბათუმში 15 საათზე დაიწყება, ხოლო 20 იანვარს ბათუმელები კლუჟში ითამაშებენ და თამაში 16 საათზე დაიწყება.

ბათუმმა მომავალი მატჩისათვის მზადება ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებით დაიწყო, ხოლო 8 იანვარს გუნდი გონიოში შეკრებაზე შევიდა.

შეგახსენებთ, რომ კონტინენტის ფარისა და ჩელენჯ ქაფის საგზურისთვის 6 გუნდილა იბრძვის და მეოთხედფინალურ ეტაპზე მხოლოდ 4 თამაშობს. მეოთხედფინალში გამარჯვებულები ნახევარფინალში გადიან და ერთმანეთს ეთამაშებიან, ანუ წარმატების შემთხვევაში ბათუმის მეტოქე გერმანული ჰაიდელბერგისა და იტალიური კალვიზანოს წყვილს შორის გამარჯვებული იქნება. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ციმბირული კლუბები – ენისეი და კრასნი იარი შეხვდებიან, როლებიც წელს ჩელენჯ ქაფზე თამაშობენ. ნახევარფინალებიც ორრაუნდიანია და თამაშები, სავარაუდოდ, 31 მარტსა და 21 აპრილს გაიმართება. ნახევარფინალში გამარჯვებულები 2018-19 წლების სეზონში ჩელენჯ ქაფის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ. გარდა ამისა, ისინი გადიან კონტინენტის ფარის ფინალში, რომელსაც 12 მაისს ესპანეთი, ბილბაო უმასპინძლებს. საგულისხმოა, რომ იმავე უქმეებზე ბილბაოში ჩემპიონთა თასისა და ჩელენჯ ქაფის ფინალებიც გაიმართება.

ფლეი ოფის ორრაუნდიან ბრძოლაში ბონუსი (4 ლელოს გატანისა და 7 და ნაკლები ქულის სხვაობით მარცხისთვის) არ გაიცემა და გამარჯვებული გამოვლინდება 2 მატჩის ჯამური ანგარიშით;

თუ 2 მატჩის ჯამში ფრე დაფიქსირდება, მეორე შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებიდან 5 წუთში დაიწყება დამატებითი დრო – ორჯერ 10 წუთი 1-წუთიანი შესვენებით;

თუ ამის შემდეგაც ფრე, შედარდება ორივე მატჩის 180 წუთში (80+80+20) გატანილი ლელოები;

თუ ეს მაჩვენებელიც თანაბარია, მოეწყობა შუთაუთი: გუნდი გამოჰყოფს 3 მოთამაშეს, რომლებიც კარში 22 და 40 მეტრიდან, სამი პოზიციიდან – კარის პირდაპირ და ორივე კიდიდან 15 მეტრზე რიგრიგობით დაარტყამენ;

თუ საწყისი 6-დარტყმიანი სერიაც ფრედ დასრულდა, შეჯიბრება გამარჯვებულის გამოვლენამდე გაგრძელდება თითო დარტყმით – 40 მეტრიდან, კარის პირდაპირ.

ზღვისპირელები იმედიანად არიან და რუმინეთის ჩემპიონთან ბრძოლად გეგმავენ.

# დინამომ ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო

ახალი საფეხბურთო სეზონისთვის მზადება პირველმა თბილისის დინამომ დაიწყო. დიღმის საწვრთნელ ბაზაზე კახი კაჭარავამ მიმდინარე წლის პირველი ვარჯიში ჩაატარა. დინამო სრულიად განსხვავებული შემადგენლობით ხვდება ახალ სეზონს.

დედაქალაქური გუნდი დატოვეს მეკარეებმა ნუკრი რევიშვილმა და სერგეი ლიტოვჩენკომ, ასევე – ლევან გეგეჭკორმა, ბექა მიქელთაძემ, ბექა ქავთარაძემ, ზურაბ დავითაშვილმა...



მათ ნაცვლად გუნდში მივიდნენ ბუდუ ზივზივაძე, რომელიც დანიური ესბიერგის კუთვნილებაა და დინამოში ერთწლიანი იჯარით ითამაშებს, საჩხერის ჩიხურიდან გიორგი ივანიშვილი, საბურთალოდან იჯარით მეკარე ოთო გოშაძე. საწყის ვარჯიშზე დინამო ტრავმირებული გიორგი თევზაძის და გიორგი ზარიას გამოკლებით თითქმის სრული შემადგენლობით შეიკრიბა. ვარჯიშში ახალწვეულთა გარდა, 19-წლამდელთა გუნდის ფეხბურთელებიც მონაწილეობდნენ.

კლუბში ასევე სინჯებზეა 4 ფეხბურთელი:

25 წლის ფორვარდი, უკრაინის მოქალაქე ევგენი ბოხაშვილი, რომელიც დნიპროს აღზრდილია და სხვადასხვა დროს კრივბასის, კარპატის, ვოლინის, ნაფტოვიკისა და რუხის რიგებში უთამაშია.

ბელარუსის მოქალაქე, 18 წლის ნახევარმცველი ნიკა ბასარია, რომელიც მინსკის დინამოსა და ესპანური კორნელიას ღირსებას იცავდა.

ასევე 23 წლის ნახევარმცველი ლაშა ახალაძე, რომელიც ბოლნისის სიონში გამოდიოდა და 22 წლის შემტევი ნახევარმცველი გურამ ლუკავა. ლუკავა ფოთის კოლხეთსა და პოლონურ ლეგიონოვიაში თამაშობდა.

სამწვრთნელო შტაბი ამ ფეხბურთელებს დააკვირდება და შემდეგ გადაწყდება შეკრებაზე წაყვანის ვინაობაც. დინამოელები მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში ზამთრის თასზე მიიღებენ მონაწილეობას, 22 იანვრიდან კი თურქეთში გაივლიან შეკრებას.

# კინგსლი კომანი: „არ მომწონს, როდესაც ცივა"

ვარჯიშზე მიმავალი კინგსლი კომანის მშვიდი სიარულის მანერამ შესაძლოა შეცდომაში შეგიყვანოთ. სეირნობის ტემპით ფრანგი მხოლოდ მინდვრის სავალ ნაწილამდე მიდის, მწვანე გაზონზე კი მისი შეჩერება უკვე შეუძლებელია.

გერმანულ მედიასთან ინტერვიუში 21 წლის ვინგერმა თავის სპრინტერულ მახასიათებლებზე, კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, გერმანიაში ცხოვრებაზე, თავის კარიბულ ფესვებსა და რამდენიმე მნიშვნელოვან „პატარა დეტალზე" ისაუბრა.

***– კინგსლი, იცი თუ არა, რამდენად სწრაფად გარბიხარ 100 მეტრს?***

– არა, ეს არასდროს გაზომილა. ფეხბურთში ჩვეულებრივ სიჩქარეზე მხოლოდ 30-40 მეტრზე გარბიხარ.

***– გაინტერესებს სპრინტერული დისციპლინები, როგორიცაა სირბილი 100 მეტრზე?***

– რა თქმა უნდა, ეს ყველასთვის საინტერესოა. მაგრამ არ მსურს, მხოლოდ მორბენალი ვიყო. მიყვარს სწრაფი სირბილი, მაგრამ ბურთით უკეთესია. 100 მეტრი საკმაოდ ბევრია.

***– თანდაყოლილი გაქვს ეს სისწრაფე?***

– მამაჩემიც ასევე სწრაფი მორბენალი გახლდათ, როდესაც ფეხბურთს თამაშობდა. ჩემი ძმაც ძალიან სწრაფია, თუმცა დიდ ყურადღებას ტექნიკას უთმობს. სისწრაფე მემკვიდრეობით მერგო.

***– შენ სპეციალურად ვარჯიშობდი, რომ უფრო სწრაფი გამხდარიყავი?***

– არა. ადრე უფრო მეტად კოორდინაციაზე ვმუშაობდი და ჩემი სირბილის სტილზე. სპეციალურად სისწრაფეზე არ მიმუშავია. ის უბრალოდ მაქვს.

***– შენი მშობლები კარიბის კუნძულებიდან, გვადელუპიდან არიან. რამდენად ბევრია შენში კარიბული?***

– 100 პროცენტით. მამაჩემი, დედაჩემი, ბებიაჩემი ბაბუაჩემთან ერთად და მთელი ჩემი ოჯახი გვადელუპელია. გვადელუპაში ბევრ ადამიანს შეუძლია სწრაფი სირბილი, მაგალითად, ანტონი მარსიალს (მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელი). ვფიქრობ, რომ გვადელუპელ ხალხს ეს გენებში აქვს.

***– შენს ყოველდღიურ ცხოვრებაში რამდენი კარიბულია?***

– მე ერთადერთი ვარ ჩემი ოჯახიდან, რომელიც საფრანგეთში დაიბადა. მე არ გავზრდილვარ გვადელუპაში, მხოლოდ შვებულების დროს მივდივარ ხოლმე იქ. ამის მიუხედავად, ჩემს ცხოვრებაში ბევრი კარიბულია: მუსიკა, საკვები... და მე არ მომწონს, როდესაც ქუჩაში ცივა. თუმცა პარიზში გავიზარდე და სიცივეს მივეჩვიე. უბრალოდ, სიცივე და თოვლი ჩემი არაა.

***– გერმანიაში უკვე 2,5 წელია, რაც ცხოვრობ. როგორ გრძნობ თავს?***

– გერმანიაში პირველივე დღიდან თავს კომფორტულად ვგრძნობდი. ხალხი აქ ძალიან პატივისცემით გეპყრო-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შვეიცარიაში 80 წლის ბანკების მძარცველი დააკავეს



შვეიცარიაში დააპატიმრეს 80 წლის მამაკაცი, რომელიც ბანკის გაძარცვაშია ეჭვმიტანილი. ამ ინფორმაციას ასოშეიტედ პრესი ავრცელებს.

ლუცერნის კანტონის პროკურატურამ განაცხადა, რომ დაკავებულმა დანაშაული, რომელიც ქალაქ მეგენში დეკემბერში მოხდა, აღიარა.

დანაშაულის დეტალები ამ დრომდე არ ხმაურდება. შემთხვევის ადგილზე გადაღებულ ფოტოსურათზე, რომელიც სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოაქვეყნეს, მძარცველს სახე შავი ნიღბით აქვს დაფარული, ხელში ლურჯი პლასტიკატის ტომარა უჭირავს, რომელშიც ფული დევს. იყო თუ არა დამნაშავე შეიარაღებული, ამაზე ინფორმაცია არ ვრცელდება. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ მან ბანკის შენობა ფეხით დატოვა.

# ინდოეთში ლეოპარდმა ორი ბავშვი შეჭამა

ინდოეთის მადხია-პრადეშის შტატის ჩხინდვარას ოლქში ლეოპარდმა ექვსი საათის განმავლობაში ორი ბავშვი მოკლა და შეჭამა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.



მტაცებელი ცხოველი დილით სახლის მახლობლად მოთამაშე სამი წლის გოგონას დაესხა თავს. მან ის მოკლა და სხეული ტყეში წაიღო. ექვსი საათის შემდეგ ლეოპარდი უკვე მეზობელ სოფელში გამოჩნდა და იქიდან ათი წლის ბიჭი გაიტაცა, რომელიც თავისი ქოხის წინ იჯდა.

ცხოველი სწრაფად და უხმაუროდ მოქმედებდა, ამიტომ ის ვერავინ შენიშნა. განგაში დაკარგული ბიჭის დედამ ატეხა, როდესაც ეზოში გამოსულმა კედელზე სისხლი შენიშნა. ღამით სოფლელებმა ბუჩქებში ბავშვის ნარჩენებს მიაკვლიეს.

– ეს ლეოპარდია, ამასთან, ახალგაზრდა, სწორედ ამიტომაც ესხმის თავს ბავშვებს, – განაცხადა ოლქის სატყეოს წარმომადგენელმა, – ჩვენ ვეძებთ ცხოველს და, როდესაც დავიჭერთ, მის სხვაგან გადასახლებას ვაპირებთ.

მისი თქმით, სანამ მტაცებელი თავისუფალია, ირგვლივ მდებარე სოფლების მცხოვრებლებს უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაში დაეხმარებიან.

# გახდომის ადვილ და სასიამოვნო საშუალებას მიაგნეს

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიური ძილის 20 წუთით გახანგრძლივება შესაძლოა ზედმეტი წონის დაკლებაში დაგეხმაროთ. მათ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანები, რომლებიც უფრო დიდხანს რჩებიან საწოლში, ნაკლებ შაქარს მოიხმარენ.



ექსპერტების თქმით, ცხოვრების რეჟიმში უბრალო ჩარევას ადამიანი უფრო ჯანსაღ კვებამდე მიჰყავს, ვინაიდან ადამიანი არაჯანსაღ საკვებს უფრო მეტად დაღლილობის გამო ეტანება.

– ჩვენი მონაცემები გვიჩვენებს, რომ რაც უფრო დიდხანს გძინავთ, მით უფრო უკეთესად იკვებებით, – განმარტა ლონდონის სამეფო კოლეჯის თანამშრომელმა ჰაია ალ ჰატიბმა.

კვლევებში მონაწილეობა 42 ადამიანმა მიიღო, რომლებსაც დღე-ღამეში შვიდ საათზე ნაკლები ეძინათ. მათ ნახევარს ძილის წინ კოფეინზე, სმარტფონით სარგებლობაზე უარის თქმა მოსთხოვეს და ასევე ურჩიეს, უარი ეთქვათ შიშველ მდგომარეობაში ძილზე. მეორე ნახევრისთვის არაფერი დაუვალებიათ.

შედეგად, პირველი ჯგუფის წევრები საწოლში 55 წუთით მეტ ხანს რჩებოდნენ და 20 წუთით მეტი ეძინათ. მათ მიერ შაქრის დღიური მოხმარება 10 გრამით შემცირდა.

# გერმანელ მოდელს ბოიფრენდის გამო სიკვდილით ემუქრებიან

გერმანელმა მოდელმა ფარინა ბემმა შეურაცხმყოფელი და სიკვდილის მუქარის გზავნილები მიიღო, რის მიზეზიც მისი ბოიფრენდის რასობრივი წარმომავლობა გახდა.



ბემის მეგობარი მამაკაცი კორეელია, რომელიც გერმანიაში გაიზარდა. მისი თქმით, ისინი ზოგჯერ ამჩნევენ მათკენ მიმართულ უცნაურ მზერას, განსაკუთრებით – ასაკოვანი ადამიანებისგან. თუმცა პირდაპირ მათთვის არავის მიუმართავს. ინტერნეტში კი მას თავისი რასის მოღალატეს უწოდებენ და ურჩევენ, ნამდვილი მამაკაცი მოძებნოს.

ბემის თქმით, ვიღაცამ მისი სამუშაო საფოსტო მისამართი გაიგო და ათეულობით წერილი გაუგზავნა, რომლებშიც აღწერს, თუ როგორ აწამებს და მოკლავს მოდელსა და მის ბოიფრენდს. გოგონა ფიქრობს, რომ მუქარისა და შეურაცხყოფის ავტორები უმეტესად ნეონაცისტები არიან.

– როგორც ჩანს, ამ სიძულვილით აღსავსე ადამიანებს არ ესმით, რა არის სიყვარული. ისინი ჩემში ერთადერთ გრძნობას, სიბრალულს, იწვევენ, – განაცხადა ბემმა.

2016 წელს ფარინა ბემი „მის საქსონიის“ ტიტულის მფლობელი გახდა და შემდეგ „მის გერმანიის“ კონკურსის ფინალში გავიდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

სპორტი

# კინგსლი კომანი: „არ მომწონს, როდესაც ცივა“



**დასაწყისი მე-9 გვერდზე**

ბა. თუ მათ ჩემთან ერთად ფოტოს გადაღება სურთ, თავაზიანად მეკითხებიან. მე ეს მომწონს.

***– გერმანიაში რამ გაგაკვირვა?***

– რომ ყველა პრაქტიკულად კარგად ლაპარაკობს ინგლისურად. საფრანგეთში და იტალიაში, სადაც 1 წელი ვცხოვრობდი ასე არ იყო.

***– შენი გერმანული დაიხვეწა?***

– უკვე კარგად მესმის და შემიძლია, თანაგუნდელებთან ვიურთიერთო გერმანულად. რამდენიმე ხნის წინ გერმანულად ინტერვიუც ჩავწერე. მაგრამ ვაგრძელებ ენის შესწავლაზე მუშაობას. ეს არც ისე ადვილია.

***– საფეხბურთო კუთხითაც თავს უკეთესად გრძნობ ბაიერნში? კმაყოფილი ხარ სეზონის პირველ ნახევარში შენი თამაშით?***

– ვფიქრობ, რომ რამდენიმე ძალიან კარგი მატჩი ჩავატარე. მაგრამ ვიცი, რომ უკეთესადაც შემიძლია. ამაზე სეზონის მე-2 ნახევარში ვიმუშავებ.

***– წინა სეზონში არ გიმართლებდა ტრავმებში. ამ სეზონის პირველმა ნახევარმა მათ გარეშე ჩაიარა. ამის რამე მიზეზი არსებობს?***

– ნებისმიერი ფეხბურთელი იღებს ტრავმას. ზოგჯერ ეს ხშირად ხდება, ზოგჯერ – იშვიათად. აქ იღბალიც თავის როლს ასრულებს. მაგრამ ჩემს პირად ცხოვრებაშიც ყველაფერს ვაკეთებ, რომ ჯანმრთელად დავრჩე. ახლა შეიძლება უფრო მეტადაც, ვიდრე წინა წლებში.

***– რას გულისხმობ?***

– ჩემს კვებას მკაცრად ვაკონტროლებ. უკვე დიდი ხანია, არ ვსარგებლობ გაზიანი სასმელებით. ასევე უფრო მეტ ბოსტნეულს ვრთავ ჩემს საკვებ რაციონში. დღეში ერთი საკვები ულუფა კი სალათისაგან შედგება. ასევე, ვცდილობ სადილის შემდეგ ცოტა დავიძინო. ეს პატარა დეტალები იმაზე მოქმედებს, რომ მე ჩემს საუკეთესო ფორმაში ვიმყოფებოდე.

***– როგორ მოხვედი აქამდე?***

– ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო პროფესიონალურად მოქცევა. გავაანალიზე, რომ ჩემი მფეთქავი სტილის თამაშისათვის მნიშვნელოვანი იყო ყურადღება მიმექცია იმისათვის, თუ რას ვაკეთებდი მინდორს გარეთ.

***– მინდორზე რისი სრულყოფილების სურვილი გაქვს?***

– შეტევის დასრულების – ბოლო გადაცემის და დარტყმის. მე ხშირად მიხდება კარგი მომენტის შექმნა, მაგრამ მისი გაუმჯობესება მსურს. უნდა მივეჩვიო უფრო ცივსისხლიანად მოქმედებას.

***– იუპ ჰაინკესმა გვითხრა, რომ გიკარნახა, თუ როგორ გაგეუმჯობესებინა ფლანგებიდან გადაცემები.***

– ლაპარაკია თვით გადაცემის მომენტზე. ტემპს უნდა დავუკლო იმ მომენტში. ზუსტად ეს მირჩია მწვრთნელმა და ჯერჯერობით ეს კარგად გამომდის. ამ მომენტზე მუშაობას კვლავ გავაგრძელებ.

# ასტროპროგნოზი

## 12 იანვარი



**ვერძი** – ფიზიკური დატვირთვისთვის ეს დღე ძალზე შესაფერისია. აქტიური დასვენება, სუფთა ჰაერზე სეირნობა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. **კურო** – შეცდომები გააანალიზეთ, მოინანიეთ, იზრუნეთ სულიერებაზე. მოთმინებით აღიჭურვეთ და კონფლიქტი თავიდან ასე აირიდეთ. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა, აღსავსე ცდუნებებითა და ფუჭი ილუზიებით. ყოველგვარი რისკი გამორიცხეთ, განსაკუთრებით – კომერციული ოპერაციებისას. **კირჩხიბი** – დაძაბული დღეა. საკუთარი პრინციპების დაცვა ნებისმიერ ფასად მოგიწევთ. **ლომი** – ქალაქგარეთ ნუ გახვალთ. პოზიტიური დღეა ოჯახის წევრებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. **ქალწული** – საკუთარი მოვალეობები დიდი ყურადღებით, პირნათლად შეასრულეთ. სხვისი დახმარების იმედი ნუ გექნებათ. **სასწორი** – ნურავის მიენდობით. შესაძლოა მოტყუებული დარჩეთ. დიდია ცრუ დაპირებების ალბათობა. **ღრიანკალი** – გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაში ბევრი რამ იცვლება. **მშვილდოსანი** – დიდი მოთმინება და შორსმჭვრეტელობა გმართებთ. ცდუნებას არ აჰყვეთ. **თხის რქა** – კონფლიქტს თავიდან იმ შემთხვევაში აიცილებთ, თუ პარტნიორს ყურადღებით მოუსმენთ და მის აზრს გაითვალისწინებთ. მოსალოდნელია მცირე იმედგაცრუება პირად ცხოვრებაში. **მერწყული** – მცირეოდენი შანსიც კი, რომელიც მოგეცემათ, ხელიდან არ გაუშვათ. დახმარებას ნურავისგან ელით. მიენდეთ საკუთარ ინტუიციას. **თევზები** – იყავით მიზანდასახული და ორგანიზებული. დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ. შვილების წარმატება გაგახარებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. უღელტეხილი კავკასიონზე; 2. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 4. საეკლესიო ლოცვათა, საგალობელთა კრებული; 5. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი ნივთიერება; 8. ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფ პრაქტიკულ ღონისძიებათა ერთობლიობა; 9. სახლზე დაშენებული არასრული სართული; 12. უკმაყოფილების მძაფრი გამოხატვა; 13. ზღვისპირა კურორტი ზუგდიდის რაიონში; 16. სახელმწიფო შუა აზიაში; 17. ქართველი რაგბისტი; 19. ქართული ხალხური ზღაპარი; 20. დილის სადილი.

**თარაზულად**: 6. ეგვიპტის უკანასკნელი დედოფალი; 7. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 8. სატრფიალო ხასიათის მეგრული ქალ-ვაჟის ცეკვა; 10. სასტუმროს ერთ-ერთი ტიპი; 11. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. ტანსაცმლის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 18. მსჯელობის, განსჯის პროდუქტი; 21. ყურის ექიმი; 22. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი; 22. ძველბერძენი დრამატურგი; 24. დედამიწის მტკიცე გარსი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფელახი; 2. ქულამა; 3. სპარინგი; 4. მიტენი; 6. ბარასახი; 8. დრეიფი; 11. მარტვილი; 12. მუტაცია; 16. ჭინკა; 17. მანგო; 18. რენცი.

**თარაზულად:** 1. ფრაქცია; 5. სააბი; 7. ოპუნცია; 9. აზნაური; 10. მეოტიდა; 13. ფარგალი; 14. იანუსი; 15. პუმა; 19. კაპრიზი; 20. საფერავი; 21. გარპაგონი; 22. ფინეთი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დიუნანი; 2. ენოთეკა; 3. სოლოლაკი; 4. ფლეიტა; 5. სამსუნი; 8. ჩარხილი; 9. კაკანათი; 12. კასტილია; 13. ყუმბარა; 16. კოლორადო; 17. ფერმერი; 19. შტურმი; 20. მერანი.

**თარაზულად:** 6. პირანდელო; 7. კლიმატი; 8. ჩხოუში; 10. ბარნელა; 11. ხულა; 14. მიუზიკლი; 15. ესტანსია; 18. კოპიჭი; 21. ტორშერი; 22. ზევსი; 23. იუმორი; 24. ნოვარტისი.

# მარიამ ლორთქიფანიძე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს

ისტორიკოსი და აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. 95 წლის ასაკში გარდაცვლილ მეცნიერთან გამოსამშვიდობებელი სამოქალაქო პანაშვიდი სიონის ტაძარში გაიმართა. რიგით მოქალაქეებთან ერთად მარიამ ლორთქიფანიძე უკანასკნელ გზაზე გააცილეს მისმა სტუდენტებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა, პოლიტიკოსებმა... აკადემიკოსის ოჯახს მიუსამძიმრა ბიძინა ივანიშვილმაც, რომელიც სამოქალაქო პანაშვიდზე მეუღლესთან ერთად მივიდა.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ გიორგი შარვაშიძის განცხადებით, თსუ-ში მარიკა ლორთქიფანიძის სახელობის სტიპენდია დაწესდება და მას ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი მიიღებს. მისივე ინფორმაციით, დაწესდება ყოველწლიური სამეცნიერო სიმპოზიუმი და სახელმწიფო უნივერსიტეტში მარიკა ლორთქიფანიძის სახელობის აუდიტორია გაიხსნება.

**ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

– მსურს, გამოვხატო გულისტკივილი ჩვენი დროის ერთ-ერთი გამორჩეული ქალბატონის, მარიამ ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო. იგი სამაგალითო იყო სიბრძნით, ცოდნით, მამულიშვილობით, ღვთის სიყვარულით. ცოტამ თუ იცის, რომ მას ბოლო დროს მონაზვნად აღკვეცის სურვილი ჰქონდა, თუმცა ეს ვერ განხორციელდა, მაგრამ ღვთის წინაშე სურვილიც კი შეიწირება. აღვავლენთ ლოცვებს ქალბატონი მარიამის უკვდავი სულისთვის, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო მის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მოგანიჭოთ მშვიდობა და ურყევი რწმენა იმისა, რომ ცხოვრება არ მთავრდება სიკვდილით, არამედ იგია დასაწყისი მარადიული ჭეშმარიტი სიცოცხლისა, რომლისთვისაც ჩვენ ყველანი უნდა მოვემზადოთ.

**მიხეილ გიორგაძე, კულტურისა და სპორტის მინისტრი:**

– უდავოა, რომ ქალბატონი მარიკას პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებული იყო. მისი სახით ქართველმა საზოგადოებამ საქართველოს ისტორიის უბადლო მცოდნე, აკადემიკოსი და ძალიან დიდი მეცნიერი დაკარგა. მინდა ოჯახის წევრებსა და მთელ ქართველ სამეცნიერო საზოგადოებას მივუსამძიმრო.

**გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი:**

– ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო. განსაკუთრებულია ის შრომა და ღვაწლი, რომელიც მარიკა ლორთქიფანიძემ გასწია 70 წლის განმავლობაში, ქვეყნის ისტორიის კვლევისა და ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. მნიშვნელოვანია ის წვლილი, რომელიც მიუძღვის მას საქართველოს მომავალი თაობების აღზრდისა და განათლების საკითხში. მწუხარებას გამოვთქვამ და ვუსამძიმრებ მის ოჯახსა და ახლობლებს ამ მძიმე წუთებში. ეს დანაკლისი უმძიმესია თანამედროვე ქართული მეცნიერებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის.

**ირაკლი კობახიძე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე:**



– ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ საქართველოს ისტორიის მემატიანის, დიდი ქართველი მეცნიერის, ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო. მარიამ ლორთქიფანიძე ჩვენი თანამედროვეობის გამორჩეული და სამაგალითო მოღვაწე იყო. ქალბატონმა მარიამმა ურთულესი მისია აირჩია და იგი ამ მისიას მთელი ცხოვრების განმავლობაში თავდადებით ასრულებდა, იგი მომავალ თაობებს ცოდნისა და პატრიოტული ღირებულებების მტკიცე ფუნდამენტს უქმნიდა. როგორც გამორჩეულმა პატრიოტმა და საზოგადო მოღვაწემ, მან თავად შექმნა ისტორია. მისი სახელი უკვე შევიდა საქართველოს ისტორიაში, რომლის შესწავლასა და დაცვას ქალბატონმა მარიკამ მთელი ცხოვრება შეალია. საქართველოს პარლამენტის სახელით გულწრფელად ვუსამძიმრებ ქალბატონი მარიკას ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

**გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:**

– დიდ მწუხარებას გამოვთქვამ სახელოვანი მეცნიერის მარიკა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო. ქალბატონმა მარიკამ მთელი ცხოვრება საქართველოს ისტორიის კვლევასა და ისტორიკოსთა არაერთი თაობის აღზრდას მიუძღვნა. მისი სახით ქვეყანამ დაკარგა დიდი მეცნიერი და საქართველოს ნამდვილი გულშემატკივარი. სამძიმარს ვუცხადებ მარიკა ლორთქიფანიძის ოჯახს, ახლობლებს, ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასა და მთელ საქართველოს.

**გიორგი კალანდია, ისტორიკოსი:**

– ბევრმა ადამიანმა თქვა სათქმელი, ამიტომ ძალიან მოკლედ ვიტყვი: საქართველოს ისტორიას რომ გავყევი, დიდწილად მისი დამსახურებაა. მე მახსოვს შარმიანი, ყველაზე მაგარი მთხრობელი და ყველაზე ავტორიტეტული ლექტორი, ვინც კი ოდესმე შემხვედრია. მარიკა ლორთქიფანიძე ჩემთვის ბევრს ნიშნავდა, იყო ჩემი ლექტორი, ხელმძღვანელი, ჩემი წიგნის რედაქტორი. მას უკავშირდება ჩემი სტუდენტობის ყველაზე ძვირფასი წლები! წავიდა და ეს ყველაზე ძვირფასი ნაწილი წაიღო!

# „ევროვიზია 2018“-ზე საქართველოს ჯგუფი „ირიაო“ წარადგენს




საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „ევროვიზია 2018“-ზე საქართველოს ჯგუფი „ირიაო“ წარადგენს.

ჯგუფის მუსიკალური ხელმძღვანელი კომპოზიტორი დავით მალაზონია გახლავთ, რომელიც 15 წლის განმავლობაში გერმანიაში მოღვაწეობდა.

„ირიაო“ ასრულებს უნიკალურ მუსიკას, რომელიც ჯაზისა და ქართული ეთნომუსიკის ნაზავია. ჯგუფის დამაარსებელი და მუსიკალური ხელმძღვანელი, დავით მალაზონია, ითვლება ერთ-ერთ პირველ ქართველ კომპოზიტორად, რომელმაც გააერთიანა ეს ორი ჟანრი. ის 30 წლის განმავლობაში ქმნიდა მუსიკას გერმანიასა და საქართველოში როგორც თეატრის, ასევე ტელეპროექტების, ცალკეული მუსიკოსებისა თუ ჯგუფებისათვის. მისივე ინიციატივით დაარსდა ანსამბლი და მათ დებიუტს 2013 წელს დამსახურებული აღიარება მოჰყვა.



# გიორგი ქებურიას სათვალით ბიონსეს დამ იპოზიორა

სოლანჟ ნოულესმა, რომელიც ცნობილი მომღერლის ბიონსეს დაა, ქართველ დიზაინერ გიორგი ქებურიას სათვალით იპოზიორა.

გრემის მფლობელი მუსიკოსი და ხელოვანი სოლანჟ ნოულესი ერთ-ერთი უცხოური ჟურნალის 2018 წლის პირველი გამოცემის ყდაზე მოხვდა.

სოლანჟმა ფოტოსესიისთვის ქართველი დიზაინერის გიორგი ქებურიას მზის სათვალით იპოზიორა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გიორგი ქებურიას ორიგინალური სათვალეებით უცხოელი ვარსკვლავები ინტერესდებიან. სოლანჟ ნოულესამდე ქართველი დიზაინერის სათვალეებით ფოტოსესიაზე რიანამ იპოზიორა. ამავე დიზაინერის კაბით კი თავი ლედი გაგამ მოიწონა.

# გისოსებში თავგაჭედილი პატიმარი ატირდა




ჩინეთში დაპატიმრებულმა მამაკაცმა პოლიციის განყოფილებაში თავი გისოსებში გაყო და გაეჭედა. ამის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა გამოცემამ გაავრცელა. ვიდეორგოლი იწყება პოლიციელების უშედეგო მცდელობით, გისოსები გაეწიათ. შემდეგ ერთ-ერთი მათგანი შეეცადა, დაკავებულის თავი უკანვე გაეძვრინა, მაგრამ მამაკაცმა ყვირილი მორთო: „მტკივა! ნუ მაწვები!“

სანამ პოლიციის თანამშრომლები პატიმრის თავის გათავისუფლებას ცდილობდნენ, მამაკაცი ქვითინებდა, შეურაცხმყოფელ სიტყვებს გაიძახოდა, ამტკიცებდა, რომ უდანაშაულო იყო და დაპატიმრებას არ იმსახურებდა. საბოლოოდ მისი თავის გისოსებიდან გათავისუფლება მოხერხდა.

თუ რატომ აღმოჩნდა მამაკაცი პოლიციის განყოფილებაში, რატომ გაყო თავი გისოსებში და ეს როგორ მოახერხა, უცნობია.

# ცნობილი ამერიკელი ჯაზვოკალისტი გრეგორი პორტერი თბილისში კონცერტს გამართავს

ცნობილი ამერიკელი ჯაზვოკალისტი, „გრემის“ ორგზის მფლობელი, სიმღერების ავტორი და მსახიობი გრეგორი პორტერი თბილისში ჩამოვა და კონცერტს გამართავს.

12 იანვარს თბილისის საკონცერტო დარბაზში გრეგორი პორტერი მსმენელის წინაშე საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრსა და ნიკოლოზ რაჭველთან ერთად წარდგება.

მომღერალი შეკრებილი გულშემატკივრებისთვის თავისი რეპერტუარიდან ახალ სიმღერებთან ერთად ცნობილ ჰიტებსაც შეასრულებს.

გრეგორი პორტერის კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 50-150 ლარი ღირს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*




# ტაილანდის ხელისუფლება პენისების გათეთრების მოდით შეშფოთებულია

ტაილანდში პენისების გათეთრების რეკლამამ ვირუსული პოპულარობა მოიპოვა და ქვეყნის ხელისუფლების ნეგატიური რეაქცია გამოიწვია.

ბანგკოკში მდებარე საავადმყოფოს წარმომადგენელმა ფეისბუქში ახალი სერვისის თაობაზე ისაუბრა. მასში ასევე მოყვანილია პაციენტების ფოტოსურათები ლაზერულ დეპიგმენტაციამდე და მის შემდეგ. კურსის ღირებულება, რომელიც ხუთი პროცედურისგან შედგება, 650 დოლარს შეადგენს.

ფეისბუქში ამ სარეკლამო განცხადებამ მომხმარებელთა დიდი რეაქცია გამოიწვია. ორ დღეში მან 19 ათასზე მეტი გაზიარება მიიღო. ბევრი მომხმარებელი კითხულობდა, თუ რა საჭირო იყო პენსის გათეთრება.

– ალბათ მისი ფარნის ნაცვლად გამოსაყენებლად, – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა თავის კომენტარში.

სხვა კომენტარის ავტორის თქმით კი მას პენისის ზომა და ფუნქციონირება აღელვებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

ხუთშაბათი
12 იანვარი

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 02.34** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** ქართული მხ/ფ "**უდიპლომო სასიძო**" **14.00** დოკ/ფ " შობის დღესასწაული ჯეიმი ოლივერთან ერთად" **15.30, 03.37**დოკ/ფ **16.30** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **18.30** დოკ/ფ"გონების თამაშები" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** ქართ. ტ/სერ. "**დათა თუთაშხია**" **22.30** ტ/სერ. "**მედიჩები ფლორენციის მბრძანებლები**" **23.30** მხ/ფ " **ვიკი კრისტინა ბარსელონა**" (ჰ.ბარდემი) **01.10** მხ/ფ " **მილიონგირვანქიანი ბანკნოტი**" **04.40** მხ/ფ " **უკეთესად არ არსებობს**"

**06.30** სერ. "**ფიცი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **23.00** სერ. "**დიდი შესვენება**" **23.30** ოქროს გლობუსი **2018 01.30, 03.15, 05.00** მხ/ფ

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **17.10** სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** ვანოს შოუ (ბესტი) **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**"49 **23.30** მხ/ფ **01.00** კონცერტი "ვლადიმერ კოსმა" **02.00, 03.00, 04.00** მხ/ფ **03.50** კურიერის დაიჯესტი

**8.00, 10.00, 14.00, 17.50, 20.00 0.00, 2.00, 4.00,** მხ/ფ **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 22.30** უცხოეთის ამბები **23.00** ავტორბოლა **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

**08.00** ან/ფ "ავატარი 3" **09.00, 19.00** სერ. "**ჯაშუში 2**" **11.00** მხ/ფ "**შოპაჰოლიკი**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 6**" **16.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 7**" **17.00** სერ. "**ქუანტიკო**" **21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.30** მხ/ფ "**ჯეკი-გოლიათების გამანადგურებელი**" **01.30** მხ/ფ "**უკანასკნელი სამურაი**" **04.00** მხ/ფ "**ვამპირი**" **06.05** მხ/ფ "**სახიფათო კავშირები**"

**08.00** ანანდა **08.10** სისი **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **13.30** ბენეფისი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 3.00** ფაბრიკა **17.30, 00.00** მხ/ფ **19.55** მე რომ ვიყო **20.00** დე ფაქტო **21.00** სერ. " **პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** ღია სტუდია

**10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 იანვრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.5778 | ევრო — 3.0892 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4898 | 100 რუსული რუბლი — 4.5155 |

## ამინდის პროგნოზი 12 იანვრისთვის








## 28 დეკემბრიდან

### ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოც ბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას,ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

**ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი**




## 9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

### ქალი ჩანთაში

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## ხატია ბუნიათიშვილის გამოსვლას ფრანგულ არხზე ექვსმა მილიონმა ადამიანმა უყურა



მსოფლიოში ცნობილი ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი საფრანგეთის არხმა „ფრანსე 2“-მა თავის ერთ-ერთ გადაცემაში შარლ აზნავურთან ერთად მიიწვია.

ხატიას ამ გამოსვლას რეკორდული რაოდენობის მაყურებელმა — 6-მა მილიონმა ადამიანმა უყურა.

ეს სასიხარულო ინფორმაცია პიანისტის დედამ ნატალი ბუნიათიშვილმა გაავრცელა:

— მინდა გაგახაროთ ხატიას კეთილისმსურველები — დილით ვიღვიძებ და ვიგებ ასეთ სასიხარულო ამბავს: ფრანგულ არხზე ხატიას გამოსვლას ჰქონდა გადაცემის რეკორდული რეიტინგი — 6 მილიონი მაყურებელი!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## მასკერანო კარიერას ჩინეთში გააგრძელებს, ბარსელონამ კი მინა შეიძინა



ხავიერ მასკერანო კარიერას ჩინურ გუნდ ჩაინა ფორჩუნში გააგრძელებს, სადაც საკმაოდ მაღალი ანაზღაურება ექნება. მასკერანომ უკვე შეათანხმა პირადი კონტრაქტის პირობები, ბარსელონა კი მისი გაყიდვის წინააღმდეგი არ არის.

კატალონიური გუნდი მასკერანოს ტრანსფერში 10 მილიონ ევროს მიიღებს და ამ ტრანსფერის შესახებ ოფიციალურად რამდენიმე დღეში გამოცხადდება.

მასკერანო ბარსელონის შემადგენლობაში 2010 წლიდან თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო.

ამასობაში ბარსელონამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ პალმეირასის 23 წლის ფეხბურთელი იერი მინა მალე ბარსელონაში ჩაფრინდება და კატალონიურ გუნდთან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

მინას ტრანსფერი ბარსელონას უკვე შეთანხმებული ჰქონდა, როდესაც გარკვეული პრობლემები წარმოიშვა, მაგრამ ეს პრობლემები მოგვარებულია. ცნობილი გახდა, რომ ბარსელონა პალმეირასს მინას ტრანსფერში 12 მილიონ ევროს გადაუხდის.

იანვარში ეს ბარსელონის მიერ განხორციელებული მეორე ტრანსფერია. შეგახსენებთ, რომ კატალონიურმა გუნდმა ლივერპულისგან ფილიპე კოუტინიო იყიდა, რომელშიც 140 მილიონი ევრო გადაიხადა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

დედა შვილს ეჩხუბება:

— მამაშენივით უტვინო და სულელი ხარ!

ამ დროს ქმარი ოთახში შემოდის და ცოლს ეკითხება:

— ეს მე ვარ უტვინო და სულელი?!

— შენ გაჩუმდი, შენზე არ ვლაპარაკობ...

●●●

თანაკლასელმა გოგონებმა გიგი გააფრთხილეს, რომ თუ გაკვეთილზე კიდევ რაიმე ცუდს იტყოდა, ყველანი ადგებოდნენ და კლასს დატოვებდნენ.

მასწავლებელი კითხულობს:

— აბა ბავშვებო, რა ახალი შენობა შენდება ჩვენ რაიონში?

— სკოლა.

— ბიბლიოთეკა.

— მუზეუმი.

— ბორდელი, — დაიძახა გიგიმ.

გოგონები ადგნენ და გადიან. ამ დროს გიგიმ მიაძახათ:

— გოგოებო, სად მიდიხართ, ჯერ ბეტონის ჩასხმაც კი არ დაუმთავრებიათ!

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

— თუ შენ ქმარს ვაცდუნებ და მასთან ღამეს გავატარებ, დაქალებად დავრჩებით?

— არა.

— ე.ი. მტრები ვიქნებით?

— არა.

— აბა რა?

— ბარი-ბარში ვიქნებით.

●●●

თანამდებობის პირი ქმარი სახლში ცუდ ხასიათზე დაბრუნდა. უსიტყვოდ მიუჯდა მაგიდას და ჭამა დაიწყო. ცოლი ცმუკავს, უნდა ქმარს ახალი ამბავი უთხრას. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა და მეუღლეს ეუბნება:

— ძვირფასო, ფეხმძიმედ ვარ!

— შენც?!...

●●●

მანქანის საჭესთან მჯდომმა ქალმა საგზაო მოძრაობის წესები დაარღვია და თავისი მანქანით მეორე მანქანას შეასკდა. დამტვრეული მანქანიდან მამაკაცი გადმოდის და ქალს ეკითხება:

— გოგონი, მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდა ჩაბარებული გაქვთ?

— დიახ! და თქვენგან განსხვავებით, ბევრჯერ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობას ჟერალდ მელცერთან შეხვედრით დაიწყებს



ნიკოლოზ ბასილაშვილი ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში ავსტრიელ ჟერალდ მელცერს დაუპირისპირდება, რომელიც ცნობილი ჩოგბურთელის იურგენ მელცერის ძმაა. ჟერალდი ამჟამად მსოფლიოს 102-ე ჩოგანია და მუდმივად პროგრესირებს, ამიტომ ბასილაშვილს იოლი შეხვედრა არ ელის, თუმცა, შარშანდელთან შედარებით, ყველაფერი უფრო მარტივად არის, რადგან შარშან ბასილაშვილის პირველი წრის მეტოქე თვით როჯერ ფედერერი იყო.

ავსტრალიის ღია პირველობა სტარტს 15 იანვარს აიღებს და ორი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.

## სანჩესის ყიდვა მანჩესტერ იუნაიტედსაც მოუნდა



ალექსის სანჩესის მომავალი კვლავინდებურად გაურკვეველია, რადგან მისი ყიდვა მანჩესტერ იუნაიტედსაც მოუნდა, აქამდე კი მხოლოდ მანჩესტერ სიტიზე იყო საუბარი. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სანჩესის სიტიში ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ჯერჯერობით ოფიციალურად ეს ინფორმაცია არავის დაუდასტურებია.

სანჩესს დიდი ხანია, არსენალიდან წასვლა სურს, მაგრამ ჯერჯერობით ამის გაკეთებას ვერ ახერხებს.

## კამეჩები ლომებს დაერივნენ

საფარის მონაწილეები ბოტსვანის ეროვნულ პარკ ჩობეში კამეჩის გადარჩენის თვითმხილველები გახდნენ, რომელსაც თავს ლომები დაესხნენ.

კამეჩმა მდინარემდე მისვლა მოახერხა, იმის მიუხედავად, რომ მას ზურგზე ორი ლომი აჯდა. როდესაც ის წყალში შევიდა, ერთ-ერთი მათგანი ჩამოხტა და თავის თანამოძმეებს შეუერთდა, რომლებიც მოვლენების განვითარებას ნაპირიდან ადევნებდნენ თვალს. მათმა მსხვერპლმა მდინარე გაცურა და ნაპირზე იმ ადგილას ამოვიდა, სადაც მისი სამი თანამოძმე იმყოფებოდა. ისინი მას დარჩენილი ლომისგან გათავისუფლებაში დაეხმარნენ, შემდეგ კი ყველამ ერთად შეუტია დანარჩენ ლომებს და ისინი მდინარის ნაპირიდან განდევნეს.

ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოს ავტორი ამტკიცებს, რომ ერთადერთი მამალი ლომი, რომელიც კამეჩზე ნადირობაში მონაწილეობდა, მდინარეში არ შესულა, ვინაიდან დასველების შეეშინდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. სანთლიდან ჩამომდნარი წვეთი; 2. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 3. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 4. ვულკანი ნეაპოლის მახლობლად; 6. მდინარე თბილისში; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 12. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწინო ნიშანი; 17. სამი და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 18. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი.

**თარაზულად**: 1. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 5. ფულის ერთეული ვიეტნამში; 7. ოდესის ძველი სახელწოდება; 9. მდგომარეობა კრივში; 10 ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 13. ფრანგი ფილოსოფოსი, ანარქიზმის თეორეტიკოსი; 14. მინერალური წყალი სამეგრელოში; 15. შხამიანი აფრიკული ბუზი; 19. მონასტერი სტეფანწმინდის რაიონში; 20. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 21. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი; 22. ქართული რადიო.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*